


**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შემოსულობები**


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების 2016 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 114 313,4 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 150 107,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 131,3 პროცენტია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (139 264,3 ათასი ლარი) შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტების გამოკლებით შემოსულობების ფაქტიური შესრულება გაზრდილია 10 843,2 ათასი ლარით, ანუ 7,8 პროცენტით.



**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 106 373,4 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 139 702,8 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 131,3 პროცენტით. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (128 335,8 ათასი ლარი) შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტების გამოკლებით შემოსავლების ფაქტიური შესრულება გაზრდილია 11 367,0 ათასი ლარით, ანუ 8,9 პროცენტით.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შემოსავლები წილობრივად**




**1. გადასახადები**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შემოსავლების უდიდესი ნაწილი, საერთო შემოსავლების 93,0 პროცენტი მოდის გადასახადებზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს. საანგარიშო პერიოდის საშემოსავლო გადასახადის გეგმა განისაზღვრა 100 700,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 129 424,8 ათასი ლარი ანუ გეგმის 128,5 პროცენტი.

საანგარიშო პერიოდის საშემოსავლო გადასახადი 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 122 338,7 ათას ლარს, გაზრდილია 7 086,1 ათას ლარით, ანუ 5,8 პროცენტით.

**საშემოსავლო გადასახადის 2015-2016 წლების სამი კვარტლის შესრულება**




## 2. სხვა შემოსავლები

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2016 წლის სამი კვარტლის სხვა შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 5 673,4 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 10 278,0 ათასი ლარი ანუ გეგმის 181,2 პროცენტი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (5 997,1 ათასი ლარი) შედარებით შემოსავლების ფაქტიური შესრულება გაზრდილია 4 280,9 ათასი ლარით, ანუ 71,4 პროცენტით.


სხვა შემოსავლების სამი კვარტლის შესრულება მოდის მის შემდეგ სახეებზე:

პროცენტებიდან შემოსავლების (სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთზე დარიცხული სარგებელი) საანგარიშგებო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 3 960,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 7 778,5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 196,4 პროცენტი; შემოსავალი დივიდენდებიდან სამი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 652,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 825,9 ათასი ლარი, გეგმის 126,7 პროცენტი; რენტისა და შემოსავლის სამი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 761,7 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 445,8 ათასი ლარი ანუ გეგმის 58,5 პროცენტი, (რენტისა და შემოსავლები მოიცავს მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან და სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებულ შემოსავლებს); საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის სამი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 225,0 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 499,6 ათასი ლარი ანუ გეგმის 222,0 პროცენტი; ჯარიმების, სანქციებისა და საურავების საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 74,7 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 89,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 120,1 პროცენტი; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სამი კვარტლის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 638,5 ათასი ლარი.



### 3. არაფინანსური აქტივების კლება

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2016 წლის სამი კვარტლის არაფინანსური აქტივების კლების (გაყიდვა) გეგმა განისაზღვრა 7 940,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 815,9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 123,6 პროცენტი. მათ შორის: ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 175,8 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან მიღებულმა ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 7 964,7 ათასი ლარი, მატერიალური მარაგებისა და ფასეულობების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 675,4 ათასი ლარი.




### 4. ფინანსური აქტივების კლება

შ.პ.ს. „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის“ 100 პროცენტის და შ.პ.ს. „საოჯახო მედიცინის ცენტრის“ 100 პროცენტის წილის გაყიდვიდან, ანუ ფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) მიღებული შემოსავლები შეადგენს 588,9 ათას ლარს. (მთლიანი ღირებულება შეადგენს 388,0 ათას ა.შ.შ დოლარს, რომლის გადახდა ხდება კვარტალურად თანაბარი მოცულობით).


### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2016 წლის ცხრა თვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაზუსტებული გადასახდელები 142 022,7 ათას ლარს შეადგენს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება კი 132 893,6 ათას ლარს, რაც გეგმის 93,6 პროცენტს შეადგენს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის ცხრა თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის ცხრა თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია:



### **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის 2016 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 3 734,3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 3 664,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 98,1 პროცენტია.

### **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის 2016 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი 2 025,6 ათასი ლარის ასიგნება დაფინანსებულია – 1 452,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 71,7 პროცენტია.

### **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მასთან არსებული ორგანიზაციებისათვის 2016 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 43 449,3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 41 781,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 96,2 პროცენტია.

### **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2016 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 9 435,9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 8 691,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 92,1 პროცენტია.

### **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2016 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 28 755,1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 27 559,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 95,8 პროცენტია.

### **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2016 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 9 053,7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 8 702,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 96,1 პროცენტია.

### **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით ცხრა თვეში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 5 769,7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 5 319,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 92,2 პროცენტია.

### **საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები**

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები, რომლებიც მოიცავს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემ კაპიტალურ და სპეციალურ ფინანსურ დახმარებებს, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალის ზრდის ხარჯებს, საწევროებს საერთაშორისო ორგანიზაციებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდს, სესხების მომსახურების ხარჯებს, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საივესტიციო პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსების ხარჯებს, უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნების ხარჯებს, 2016 წლის ცხრა თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 39 799,1 ათას ლარს, ხოლო დაფინანსება კი - 35 722,3 ათას ლარს, რაც გეგმის 89,8 პროცენტია.

### **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდი**

2016 წლის ცხრა თვის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 2 256,6 ათასი ლარი შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

2016 წლის 13 იანვრის #4 ბრძანების შესაბამისად 27,8 ათასი ლარი გამოიყო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით;

2016 წლის 13 იანვრის #6 ბრძანების შესაბამისად 23,1 ათას ლარი გამოიყო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით;

2016 წლის 14 იანვრის #9 ბრძანების შესაბამისად 31,2 ათასი ლარი გამოიყო ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით;

2016 წლის 20 იანვრის #12 ბრძანების შესაბამისად 1,150,0 ათასი ლარი გამოიყო ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლების წაბლანისა და წაბლიანის მოსახლეობის მიერ შექმნილი ერთობლივი საქმიანობის ბინათმშენებლობის ამხანაგობა „წაბლანა 2015“-ის მიერ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის თანადაფინანსების მიზნით;

2016 წლის 20 იანვრის #13 ბრძანების შესაბამისად 9,8 ათასი ლარი გამოიყო ილია ბედინაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;





2016 წლის 9 მარტის #53 ბრძანების შესაბამისად 4,0 ათასი ლარი გამოიყო გულნარა სოლომონიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 9 მარტის #54 ბრძანების შესაბამისად 1,9 ათასი ლარი გამოიყო მანანა ჯინჭარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 9 მარტის #55 ბრძანების შესაბამისად 43,7 ათასი ლარი გამოიყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს სტიქიის შედეგად დაზიანებული შენობის სახურავის მოწყობის, მთავარ ფასადზე არსებული საჩრდილობლის, წყალსარინი ღარების, შენობის უკანა ფასადზე არსებული განათებისა და სახანძრო კიბის აღდგენითი სამუშაოების ხარჯების დასაფარავად;

2016 წლის 16 მარტის #57 ბრძანების შესაბამისად 6,0 ათასი ლარი გამოიყო ელზა ფუტკარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 21 მარტის #58 ბრძანების შესაბამისად 1,9 ათასი ლარი გამოიყო ციალა თხილაიშვილისათვის მედიკამენტ გენექსოლის შემენის დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 21 მარტის #59 ბრძანების შესაბამისად 0,9 ათასი ლარი გამოიყო კობა ბოლქვაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 21 მარტის #60 ბრძანების შესაბამისად 1,3 ათასი ლარი გამოიყო დავით შაინიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 21 მარტის #61 ბრძანების შესაბამისად 3,5 ათასი ლარი გამოიყო მზია ახალაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 22 მარტის #69 ბრძანების შესაბამისად 0,3 ათასი ლარი გამოიყო ნანა სეფერთელაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 28 მარტის #77 ბრძანების შესაბამისად 2,5 ათასი ლარი გამოიყო რევაზ შენგელიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 28 მარტის #78 ბრძანების შესაბამისად 1,8 ათასი ლარი გამოიყო მაყვალა ნათიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 28 მარტის #79 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გელა აბუსელიძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 28 მარტის #80 ბრძანების შესაბამისად 1,7 ათასი ლარი გამოიყო თენგიზ ჩელეზაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 28 მარტის #81 ბრძანების შესაბამისად 5,0 ათასი ლარი გამოიყო მარინა კონცელიძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 28 მარტის #82 ბრძანების შესაბამისად 1,7 ათასი ლარი გამოიყო იაშა ქავჯარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 30 მარტის #85 ბრძანების შესაბამისად 95,0 ათასი ლარი გამოიყო ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით;

2016 წლის 6 აპრილის #88 ბრძანების შესაბამისად 1,0 ათასი ლარი გამოიყო მალვინა დიასამიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 8 აპრილის #92 ბრძანების შესაბამისად 3,0 ათასი ლარი გამოიყო მაყვალა თეთრადისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 12 აპრილის #93 ბრძანების შესაბამისად 1,0 ათასი ლარი გამოიყო ნათელა შავადისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 13 აპრილის #96 ბრძანების შესაბამისად 4,7 ათასი ლარი გამოიყო ლიანა გაგუასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 13 აპრილის #99 ბრძანების შესაბამისად 3,3 ათასი ლარი გამოიყო თამუნა ფუტკარადისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 13 აპრილის #100 ბრძანების შესაბამისად 4,0 ათასი ლარი გამოიყო ჯემალ თავართქილადისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 13 აპრილის #101 ბრძანების შესაბამისად 2,8 ათასი ლარი გამოიყო რუსუდან მაღაყმადისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 14 აპრილის #103 ბრძანების შესაბამისად 2,0 ათასი ლარი გამოიყო კაკო გოგიტიძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 14 აპრილის #104 ბრძანების შესაბამისად 1,9 ათასი ლარი გამოიყო მზია მესხიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 14 აპრილის #105 ბრძანების შესაბამისად 2,5 ათასი ლარი გამოიყო იოსებ ბერიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 14 აპრილის #106 ბრძანების შესაბამისად 3,0 ათასი ლარი გამოიყო მერი კონცელიძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2016 წლის 18 აპრილის #110 ბრძანების შესაბამისად 2,5 ათასი ლარი გამოიყო ალექსანდრე ბაუჟაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 19 აპრილის #115 ბრძანების შესაბამისად 0,4 ათასი ლარი გამოიყო ანზორ ბერიძისათვის მედიკამენტ რიზომუსტინის შეძენის მიზნით;

2016 წლის 19 აპრილის #117 ბრძანების შესაბამისად 11,0 ათასი ლარი გამოიყო 2016 წლის მაისში, ქ. ბათუმში „მსოფლიო თასი კარატეში“ ორგანიზების ხარჯების ნაწილობრივ დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 25 აპრილის #122 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო ბაჩუკი ცხომელიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 25 აპრილის #123 ბრძანების შესაბამისად 2,4 ათასი ლარი გამოიყო ბაგრატ ქამადაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 25 აპრილის #124 ბრძანების შესაბამისად 1,7 ათასი ლარი გამოიყო მაგული მახარაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 26 აპრილის #125 ბრძანების შესაბამისად 2,0 ათასი ლარი გამოიყო მანანა გორჯელაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2016 წლის 26 აპრილის #126 ბრძანების შესაბამისად 1,4 ათასი ლარი გამოიყო სოფიო ევგენიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 26 აპრილის #127 ბრძანების შესაბამისად 20,0 ათასი ლარი გამოიყო მარიამ გოგიტიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 26 აპრილის #128 ბრძანების შესაბამისად 0,5 ათასი ლარი გამოიყო ლელა ჯორბენაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 28 აპრილის #131 ბრძანების შესაბამისად 0,5 ათასი ლარი გამოიყო ნანა სეფერთელაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 28 აპრილის #132 ბრძანების შესაბამისად 3,5 ათასი ლარი გამოიყო მაკა ქარცივაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 28 აპრილის #133 ბრძანების შესაბამისად 5,7 ათასი ლარი გამოიყო ვენედიქტე ფოფხაძის უკრაინის რესპუბლიკიდან საქართველოში გადმოსვენებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯის ანაზღაურების მიზნით;

2016 წლის 10 მაისის #139 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო დავით ბერიძისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2016 წლის 10 მაისის #141 ბრძანების შესაბამისად 13,3 ათასი ლარი გამოიყო ედნარ ფუტკარაძისათვის 2014 წლის იანვრის თვიდან 2015 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით პერიოდის სარჩოს თანხის ანაზღაურების მიზნით;

2016 წლის 20 მაისის #148 ბრძანების შესაბამისად 20,0 ათასი ლარი გამოიყო დავით მეგრელიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 20 მაისის #149 ბრძანების შესაბამისად 6,0 ათასი ლარი გამოიყო საქართველოს დამსახურებული არტისტის თამარ სულხანიშვილის დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად ოჯახისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2016 წლის 24 მაისის #152 ბრძანების შესაბამისად 33,5 ათასი ლარი გამოიყო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით;

2016 წლის 24 მაისის #153 ბრძანების შესაბამისად 4,1 ათასი ლარი გამოიყო კუკური ბლადაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 24 მაისის #154 ბრძანების შესაბამისად 0,6 ათასი ლარი გამოიყო დიანა ბერაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 24 მაისის #155 ბრძანების შესაბამისად 5,0 ათასი ლარი გამოიყო რუსლან სუსანიძისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2016 წლის 25 მაისის #156 ბრძანების შესაბამისად 5,0 ათასი ლარი გამოიყო ზურაბ ჩავლეიშვილისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 25 მაისის #157 ბრძანების შესაბამისად 3,0 ათასი ლარი გამოიყო მელანო ჯაიანისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2016 წლის 31 მაისის #159 ბრძანების შესაბამისად 2,0 ათასი ლარი გამოიყო ნაზი სვანიძისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2016 წლის 31 მაისის #160 ბრძანების შესაბამისად 1,8 ათასი ლარი გამოიყო ბეგლარ აბულაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 31 მაისის #161 ბრძანების შესაბამისად 1,7 ათასი ლარი გამოიყო თამარ შავაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 31 მაისის #166 ბრძანების შესაბამისად 5,0 ათასი ლარი გამოიყო თორნიკე დოლიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 31 მაისის #167 ბრძანების შესაბამისად 10,7 ათასი ლარი გამოიყო მანანა გორჯელაძისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2016 წლის 31 მაისის #168 ბრძანების შესაბამისად 4,8 ათასი ლარი გამოიყო რაინდი ბასილაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 31 მაისის #169 ბრძანების შესაბამისად 1,6 ათასი ლარი გამოიყო ელენე ანდრიუშჩენკოსათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 2 ივნისის #172 ბრძანების შესაბამისად 3,3 ათასი ლარი გამოიყო ვლადიმერ ფეიქრიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 2 ივნისის #173 ბრძანების შესაბამისად 1,6 ათასი ლარი გამოიყო ალექსანდრე პაქსაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 2 ივნისის #174 ბრძანების შესაბამისად 6,0 ათასი ლარი გამოიყო მარინა ანანიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 2 ივნისის #175 ბრძანების შესაბამისად 3,0 ათასი ლარი გამოიყო ლევან ბერიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 2 ივნისის #176 ბრძანების შესაბამისად 1,4 ათასი ლარი გამოიყო რომან შარაბიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 6 ივნისის #177 ბრძანების შესაბამისად 5,0 ათასი ლარი გამოიყო პაატა თებიძისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2016 წლის 6 ივნისის #178 ბრძანების შესაბამისად 2,0 ათასი ლარი გამოიყო ბადრი ლატარიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 7 ივნისის #180 ბრძანების შესაბამისად 5,0 ათასი ლარი გამოიყო ირმა შავიშვილისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2016 წლის 7 ივნისის #181 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო ჯეირან ჩელეგაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 7 ივნისის #182 ბრძანების შესაბამისად 5,0 ათასი ლარი გამოიყო ციალა ხმაღაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 7 ივნისის #185 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო ინგა ცენტერაძისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2016 წლის 7 ივნისის #186 ბრძანების შესაბამისად 1,0 ათასი ლარი გამოიყო ასლან აბულაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 7 ივნისის #187 ბრძანების შესაბამისად 4,0 ათასი ლარი გამოიყო გივი გაბაიძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 7 ივნისის #188 ბრძანების შესაბამისად 2,4 ათასი ლარი გამოიყო მარიამ დიასამიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 7 ივნისის #190 ბრძანების შესაბამისად 4,0 ათასი ლარი გამოიყო აჭარის სომხურ სათვისტომოსათვის არსებული საფეხბურთო გუნდის - „ახპიურის“ სპორტული სააგენტო SMB-ის მიერ ორგანიზებული მინი ფეხბურთის სამოყვარულო ჩემპიონატში, ბიზნესის ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის საწევრო დავალიანების დაფარვის მიზნით;

2016 წლის 16 ივნისის #195 ბრძანების შესაბამისად 2,9 ათასი ლარი გამოიყო ვახტანგ ცინცაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 16 ივნისის #196 ბრძანების შესაბამისად 2,0 ათასი ლარი გამოიყო ავთანდილ მელაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 16 ივნისის #197 ბრძანების შესაბამისად 0,7 ათასი ლარი გამოიყო ლინდა კეკელიძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 17 ივნისის #198 ბრძანების შესაბამისად 88,3 ათასი ლარი გამოიყო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით;

2016 წლის 20 ივნისის #200 ბრძანების შესაბამისად 1,0 ათასი ლარი გამოიყო გურამ გურგენიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 22 ივნისის #201 ბრძანების შესაბამისად 1,8 ათასი ლარი გამოიყო კახა გოგიტიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 22 ივნისის #203 ბრძანების შესაბამისად 2,1 ათასი ლარი გამოიყო ნიკოლოზ ჯიქიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 22 ივნისის #204 ბრძანების შესაბამისად 0,6 ათასი ლარი გამოიყო გოჩა შაინიძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 22 ივნისის #205 ბრძანების შესაბამისად 2,2 ათასი ლარი გამოიყო სალომე გუნთაიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 22 ივნისის #206 ბრძანების შესაბამისად 1,5 ათასი ლარი გამოიყო სოფიო ქავჯარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 22 ივნისის #208 ბრძანების შესაბამისად 1,5 ათასი ლარი გამოიყო შალვა სალვარიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 22 ივნისის #209 ბრძანების შესაბამისად 1,6 ათასი ლარი გამოიყო ზაზა ლომთათიძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 27 ივნისის #211 ბრძანების შესაბამისად 3,0 ათასი ლარი გამოიყო ინგა ჯორბენაძისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2016 წლის 28 ივნისის #214 ბრძანების შესაბამისად 2,4 ათასი ლარი გამოიყო შოთა დეკანაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 29 ივნისის #221 ბრძანების შესაბამისად 1,0 ათასი ლარი გამოიყო ა(ა)იპ აფხაზ ქალთა კავშირის წევრების სასტუმროს ხარჯის დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 5 ივლისის #223 ბრძანების შესაბამისად 4,5 ათასი ლარი გამოიყო ლუკა მელიქაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 5 ივლისის #224 ბრძანების შესაბამისად 0,9 ათასი ლარი გამოიყო რევაზ ქათამაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 4 აგვისტოს #231 ბრძანების შესაბამისად 111,0 ათასი ლარი გამოიყო უხვი ატმოსფერული ნალექის შედეგად დაზიანებული ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა/ რეაბილიტაციის მიზნით;

2016 წლის 4 აგვისტოს #232 ბრძანების შესაბამისად 22,0 ათასი ლარი გამოიყო ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით;

2016 წლის 4 აგვისტოს #233 ბრძანების შესაბამისად 20,0 ათასი ლარი გამოიყო რამინ ბერიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 5 აგვისტოს #235 ბრძანების შესაბამისად 152,6 ათასი ლარი გამოიყო სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით.

### **ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2016 წლის ცხრა თვეში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3 416,6 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 2 550,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 74,6 პროცენტია.

### **ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2016 წლის ცხრა თვეში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 29 474,1 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 27 520,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 93,4 პროცენტია.

### **სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალის ზრდა**

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შ.პ.ს. „ჰიგიენა 2009“-ის საწესდებო კაპიტალის ზრდა 4 400,0 ათასი ლარის ოდენობით, აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების, გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის.

### **სესხების მომსახურების ხარჯები**

საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხების მომსახურების ხარჯები 40,6 ათასი ლარი და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები 127,4 ათასი ლარი.

### **უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანადაფინანსების ხარჯები**

საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა „მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარაში“ პროექტზე 500,0 ათასი ლარი.

### **უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება**

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხის ძირი ნაწილის

დაბრუნების მიზნით გაიხარჯა 583,8 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულების მდგომარეობა (ადმინისტრირება მართვისა და მომსახურების მიწოდების პროგრამებისა და ქვეპროგრამების გარეშე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო 2016 წელს ახორციელებს ექვს პროგრამას, აქედან ორს ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროს მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს და გარემოსდაცვით პროგრამას, ხოლო ოთხ პროგრამას სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“: ტყის დაცვა და მოვლა, ეკოლოგიური განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება, ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლება, ტყის მართვის დაგეგმვა.

გარემოსდაცვითი პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - აჭარის სანაპირო ზოლის ჩამდინარე წყლებისა და ატმოსფერული ჰაერის აქტიურ დამაბინძურებელ კერებში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 13,4 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 13,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრ“-თან (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160001282) წყალსატევების აქტიურ დამაბინძურებელ ობიექტებზე წყლის შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების (210 სინჯი) მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 8,4 ათასი ლარი.
2. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრ“-თან (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160001280) ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების (132 სინჯი) მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 6,6 ათასი ლარი.
3. განხორციელდა ატმოსფერული ჰაერისა და ჩამდინარე წყლების მდგომარეობის მონიტორინგი: ჩატარებული იქნა 114 ატმოსფერული ჰაერის სინჯის ანალიზი და 192 ჩამდინარე წყლის სინჯის ანალიზი, საერთო ღირებულებით 13,4 ათასი ლარი, რაც დაფინანსებულია სრულად.
4. მონიტორინგის განხორციელების შედეგად გამოვლენილია გარემოსდაცვითი დარღვევის 10 ფაქტი. ჩამდინარე ზედაპირულ წყალში და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ჩაშვების/გაფრქვევის გადამეტებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია კანონმდებლობის შესაბამისად გადაგზავნილია შესაბამის ორგანოში.

შესრულების პროცენტი: 100,0%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 89,3%

ქვეპროგრამის - აჭარის სანაპირო ზოლის სარფი-ჩოლოქის მონაკვეთზე ზღვის წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 25,8 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 25,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრ“-თან (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160007234) ზღვის წყლის შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების (150 სინჯი) მომსახურების შესყიდვაზე ღირებულებით 28,5 ათასი ლარი;
2. განხორციელდა 136 ზღვის წყლის სინჯის ანალიზის გამოკვლევა საერთო ღირებულებით 25,8 ათასი ლარი.
3. მონიტორინგის განხორციელების შედეგად გარემოსდაცვითი დარღვევები არ გამოვლენილა.

შესრულების პროცენტი: 100,0%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 90,5%

**პროგრამა - ტყის დაცვა და მოვლა** მოიცავს ერთ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - დეგრადირებული ტყეების აღდგენა-განახლება და ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 332,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 257,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „რეგი 2014“-თან (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160007711) 100 ჰა დეგრადირებული ტყის ფართობის შემოღობვა და 38 ჰა ნიადაგის აჩიქვნის/გაწმენდის მომსახურების შესყიდვაზე ღირებულებით 94,4 ათასი ლარი, ღონისძიება შესრულებულია და საკასო ხარჯი შეადგენს 94,4 ათას ლარს.
2. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აჭარსპეცპროექტ“-თან შუახევის ადმინისტრაციის შენობაში განთავსებული ლაბორატორიის სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის მომზადების შესყიდვაზე, ღირებულებით 1,0 ათასი ლარი, მომსახურება მიწოდებულია სრულად, საკასო ხარჯი შეადგენს 1,0 ათას ლარს.
3. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „მეფური“-სთან (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160013405) ლაბორატორიის სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე, ღირებულებით 46,7 ათასი ლარი. საკასო ხარჯი შეადგენს 41,5 ათას ლარს.
4. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №19 დადგენილების საფუძველზე ლაბორატორიის შენობის ელექტრო ქსელში ჩართვის მიზნით გაწეულია 0,3 ათასი ლარის საკასო ხარჯი.



5. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „თევზი“-სთან (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160005598) 6 000 პაკეტის ქერქიჭამიის (5900 ცალი - მბეჭდავი ქერქიჭამიის/ 100 ცალი - კენწეროს ქერქიჭამიის) საწინააღმდეგო ფერომონის შესყიდვაზე ღირებულებით 80,0 ათასი ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მიწოდებული იქნა სრულად, საკასო ხარჯი შეადგენს 80,0 ათას ლარს.
6. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბათუმის ბიზნეს აკადემია“-სთან (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160009529) 6 000 ცალი ხე-ტყის მავნებლების ხაფანგის განთავსება, მონიტორინგი და ჩამოხსნა-დასაწყობების მომსახურების შესყიდვაზე ღირებულებით 57,6 ათასი ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულდება ეტაპობრივად. განხორციელებულია 6 000 ცალი მწერსაჭერი ხაფანგის განთავსება და 5 100 ცალი ხაფანგის მონიტორინგი, ღირებულებით 39,5 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებულია 39,5 ათასი ლარი.
7. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აჭარსპეცპროექტ“-თან შუახევის ადმინისტრაციის შენობაში განთავსებული ლაბორატორიის სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 1,1 ათასი ლარი, მომსახურება მიწოდებულია სრულად, საკასო ხარჯი შეადგენს 1,1 ათასი ლარს

შესრულების პროცენტი: 77,7%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 70,2%

**პროგრამა - ეკოლოგიური განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება**  
მოიცავს ერთ ქვეპროგრამას.

**ქვეპროგრამის - სატყეო სექტორში განათლების ხელშეწყობა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 10,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 7,7 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „განვითარების ცენტრ“-თან (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160015352) ტყის რესურსების მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ღონისძიებების ორგანიზების მომსახურების შესყიდვაზე ღირებულებით 9,0 ათასი ლარი. ჩატარებულია 4 ღონისძიება, საკასო ხარჯი შეადგენს 6,5 ათასს ლარს.
2. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „განვითარების ცენტრ“-თან (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160015360). ეკოლოგიური განათლების ხელშეწყობის მიზნით ლექციებისა და სემინარების ორგანიზების მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 2,2 ათასი ლარი, ჩატარებულია სატყეო სექტორთან დაკავშირებით 11 საჯარო ლექცია, საკასო ხარჯი შეადგენს 1,2 ათასს ლარს.

შესრულების პროცენტი: 77,0%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 51,3%

**პროგრამა - ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლების ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა: ორგანიზაციული მართვა, რომელიც მოიცავს სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ შენახვისა და ფუნქციონირების ხარჯებსა და ქვეპროგრამას „სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა“.**

ქვეპროგრამის - „სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა“ საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 354,9 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 201,7 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2 ხელშეკრულება ი/მ ირაკლი აფაქიძესთან, ღირებულებით 0,4 ათასი ლარი, 11 ცალი სამუხრუჭე ხუნდის შესყიდვაზე, საქონელი მიღებულია და ანაზღაურებულია სრულად.
2. გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ფ/პ ნოდარ დავითაძესთან (ხელშეკრულება N 01-38/20 10.02.2016 წ. ღირებულებით 0,2 ათასი ლარი) 1 ერთეული სპეცტექნიკის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე. მომსახურება მიღებულია და ანაზღაურებულია სრულად.
3. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „რომპეტროლ საქართველო“-სთან (კონსოლიდირებული ტენდერი CON 150000069; ხელშეკრულება N 01-38/01 06.01.2016 წ. ღირებულებით 93,0 ათასი ლარი) დიზელის საწვავის შესყიდვაზე. მიღებული და ანაზღაურებული საწვავის ღირებულება შეადგენს 17,0 ათას ლარს.
4. გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (გადაუდებელი აუცილებლობა) 8 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-სთან დიზელის საწვავის შეძენაზე, ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენს 36,7 ათას ლარს, მიღებული და ანაზღაურებული საწვავის ღირებულება შეადგენს 36,7 ათას ლარს.
5. გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „რალი კონტინენტალ“-თან (ხელშეკრულება N01-38/22 11.02.2016 წ. ღირებულებით 4,5 ათასი ლარი) ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) მომსახურების შესყიდვაზე, მომსახურება მიღებულია და ანაზღაურებულია სრულად.
6. გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 7 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბასმოტორს“-თან სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე, ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენას 4,5 ათას ლარს, საქონელი მიღებულია და ანაზღაურებულია სრულად.
7. გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „STEEL CABLE“-თან (N 01-38/68 06.04.2016 წ. ღირებულებით 1,9 ათასი ლარი) 240 მ ლითონის ბაგირის შესყიდვაზე - საქონელი მიღებულია და ანაზღაურებულია სრულად

8. გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება შპს „აჭარსპეცპროექტთან“ (ხელშეკრულება N 01-38/73 13.04.2016 წ. ღირებულებით 0,8 ათასი ლარი), ხულოს მუნიციპალიტეტში კოტეჯის (მეტყევის სახლი) მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვაზე. დოკუმენტაცია მიღებულია და გაწეულია ხარჯი 0,8 ათასი ლარი.
9. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160007709) შპს „დინამიტ“-თან, ღირებულებით 85,1 ათასი ლარი ტყის ფონდის ტერიტორიაზე ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების შესყიდვაზე, საქონელი მიღებულია და ანაზღაურებულია სრულად.
10. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160013770) შპს „NEW STYLE“-თან, ხულოს მუნიციპალიტეტში კოტეჯის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე, სახელშეკრულება თანხა შეადგენს 23,3 ათას ლარს. სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და საკასო ხარჯი შეადგენს 23,3 ათას ლარს.
11. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულია 2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „მეთა“-სთან, სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე, ღირებულებით 0,2 ათასი ლარი, საქონელი მიღებულია და ანაზღაურებულია სრულად.
12. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160019086) შპს „დინამიტ“-თან, ღირებულებით 47,0 ათასი ლარი, ტყის ფონდის ტერიტორიაზე ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების შესყიდვაზე, საანგარიშო პერიოდში შესრულებული და ანაზღაურებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 8,3 ათასი ლარი.
13. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ფ/პ დურსუნ აბაშიძესთან ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 4,2 ათასი ლარი, მომსახურება მიღებულია და ანაზღაურებულია სრულად.
14. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „მექანიზატორ“-თან (ხელშეკრულება N01-38/174 08.09.2016 წ. ღირებულებით 1,5 ათასი ლარი, მიწის სათხრელი მოწყობილობებისა და მათი ოპერატორების დაქირავების შესყიდვაზე, მომსახურება მიღებულია და ანაზღაურებულია სრულად.
15. დადებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160017616) შპს „ROM TRANS“-თან, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური უზრუნველყოფასა და მასთან დაკავშირებული საქონლის/მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 17,8 ათასი ლარი. მოწოდებული და ანაზღაურებული მომსახურების/საქონლის ღირებულება შეადგენს 13,1 ათას ლარს.
16. ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში აშენებული იქნა სატყეო-სამეურნეო დანიშნულების ახალი გზები 21 670 მ. და რეაბილიტირებული იქნა არსებული დაზიანებული გზა - 118 300 მ.

შესრულების პროცენტი: 56,8%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 49,2%

**პროგრამის - ტყის მართვის დაგეგმვა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 400,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 286,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოსაინფორმაციო სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკ“-თან (ელექტრონული ტენდერი SPA150009814 04.05.2015 წ.) 141 000 ჰა ტყის ფონდის ინვენტარიზაციისა (ტყეთმოწყობა) და ტყის მართვის გეგმის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე ღირებულებით 1 395,9 ათასი ლარი. (აქედან გასული წლის პერიოდში მოწოდებული და ანაზღაურებული მომსახურების ღირებულებამ შეადგენა 964,9 ათასი ლარი.) 2016 წლის 9 სექტემბერს ტყის ფონდის ფართობის დაზუსტების მიზნით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულებაში განხორციელებული იქნა ცვლილება, რომლის შედეგად საინვენტარიზაციო სავარაუდო ტყის ფონდის ფართობმა შეადგენა 150 500 ჰა-ს, ხოლო ხელშეკრულების ღირებულებამ - 1 460,0 ათასი ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა ქობულეთისა (21 253 ჰა); ხელვაჩაურის (14 797 ჰა) და ქედის (37 215 ჰა) სატყეო ადმინისტრაციების ტყის მართვის გეგმის მომზადება, ხულოსა და შუახევის სატყეო ადმინისტრაციებში პათოლოგიური, ნიადაგის და ბიომრავალფეროვნების კვლევა და საველე სამუშაოები (ინვენტარიზაცია) 46 000 ჰა-ზე. საანგარიშო პერიოდში მოწოდებული და ანაზღაურებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 286,4 ათას ლარს.

შესრულების პროცენტი: 71,6%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 47,7%

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 2016 წელს ახორციელებს სამ პროგრამას: ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა, აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე და ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება.**

**პროგრამა - ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა** ითვალისწინებს ოთხ ქვეპროგრამას, რომელთა ფარგლებში ხორციელდება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ადმინისტრირებისა და მართვის ქვეპროგრამა და ასევე სამი ქვეპროგრამა.

**ქვეპროგრამის - დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოება** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 121,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 96,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- უცხოელ ვიზიტორთა ბაზრის კვლევა - კვლევის პირველი და მეორე ეტაპი დასრულდა, ააიპ „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტ“-მა უზრუნველყო შესაბამისი მასალების მოწოდება, მიმდინარეობს კვლევის მესამე ეტაპი.
- ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა - დასრულდა კვლევის პირველი ეტაპი და მასალების მოწოდება, მიმდინარეობს კვლევის მეორე ეტაპის დამუშავება და მესამე ეტაპის საველე სამუშაოები. კვლევას აწარმოებს შპს „4 სერვის ჯი სეილსი“.
- არარეგისტრირებული და ფიზიკურ პირად რეგისტრირებული ტურისტთა განთავსების ობიექტების კვლევა - კვლევის პირველი და მეორე ეტაპი დასრულდა, შპს „4 სერვის ჯი სეილსი“-მა უზრუნველყო მასალების მოწოდება, მიმდინარეობს კვლევის მესამე ეტაპი.

შესრულების პროცენტი: 80,0%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 44,6%

**ქვეპროგრამის - კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობით აჭარაში ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 3,8 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 0,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ღონისძიებების - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან არსებული მრჩეველთა საბჭოს და რეგიონში ტურიზმის სფეროს წარმომადგენელთა მონაწილეობით კონფერენციების და შეხვედრების ორგანიზება“ მრჩეველთა საბჭოსთან შეხვედრები ტარდება დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში, და მხოლოდ მასშტაბური შეხვედრითვის ხდება დარბაზის დაქირავება და ხარჯების გაწევა.

შესრულების პროცენტი: 10,5%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 8,0%

**ქვეპროგრამის - დეპარტამენტის ორგანიზაციული განვითარება** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 38,5 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 30,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში, დამზადდა აჭარის რეგიონის ტურისტული სარეკლამო ვიდეო რგოლი. ასევე მიმდინარეობს ექსკლუზიური სარეკლამო ფოტო მასალების ბაზის შექმნა (ფოტოგადაღება).

შესრულების პროცენტი: 79,2%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 38,1%

**პროგრამა - აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე** ითვალისწინებს ორ ქვეპროგრამას:

**ქვეპროგრამის - რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზარზე** საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 380,5 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 2 359,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შემენილია 10900 ცალი სხვადასხვა დასახელების საპრომოციო მასალები (ბრენდირებული საწერი კალმები, სტიკერები, ბრენდირებული ჭიქები, საგამოფენო ჩანთები).

დამზადებულია 4000 ცალი სხვადასხვა სარეკლამო-საინფორმაციო მასალა.

რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, გაფორმდა ხელშეკრულებები და მიმდინარეობს სარეკლამო და პიარ აქტივობები 10 ქვეყანაში (ისრაელი, პოლონეთი, თურქეთი, ლიტვა, ბელორუსი, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი). ამათან, 2016 წლის აპრილიდან რეგიონის ცნობადობის გაზრდის მიზნით, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით, საზღვარგარეთ ჩატარდა ღონისძიებები „აჭარის დღეები“, კერძოდ: ისრაელში (ქ. თელავივი), ბელორუსში (ქ. მინსკი), ყაზახეთში (ქ. ასტანა), პოლონეთში (ქ. ვარშავა), ლიტვაში (ქ. ვილნიუსი).

ასევე ზემოაღნიშნულ 10 ქვეყანაში დაიწყო და მიმდინარეობს რეგიონის ონლაინ რეკლამირება სოციალური მედია ინსტრუმენტებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შედეგად სამი კვარტლის მონაცემებით მივიღეთ:

- 80 632 ვიზიტორი ვებ-გვერდზე: [www.goBatumi.com](http://www.goBatumi.com).
- 106 852 ფოლოუერი სოციალურ ქსელში: [www.facebook.com](http://www.facebook.com).

სარეკლამო-საინფორმაციო ტურების ორგანიზების ფარგლებში დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული იქნა 22 პრეს და 8 ინფო ტური, რომლის საშუალებითაც რეგიონის ტურისტულ პოტენციალს გაეცნო 290 სტუმარი, მათ შორის: 114 ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელი და 176 ჟურნალისტი, შედეგად სამიზნე ქვეყნების რეიტინგულ მედია საშუალებებში აჭარის ტურისტული პოტენციალისადმი მიმდინარე სატელევიზიო სიუჟეტებისა და საგაზეთო სტატიების რაოდენობა შეადგენს 130 ერთეულზე მეტს.

დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო 15 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, კერძოდ:

1. თურქეთის ტურისტული გამოფენა - “EMITT -2016”
2. ლიტვის ტურისტული გამოფენა "Adventure 2016"
3. პოლონეთის ტურისტული გამოფენა - “Wroclaw Tourism exhibition-2016”
4. ისრაელის ტურისტული გამოფენა- “IMTM-2016”
5. გერმანიის ტურისტული გამოფენა - „ITB Berlin -2016“
6. უკრაინის ტურისტული გამოფენა - “UITT – Kiev 2016”
7. პოლონეთის ტურისტული გამოფენა - “Katowice International Fair” (GLOB -2016)
8. აზერბაიჯანის ტურისტული გამოფენა - „AITF 2016“
9. ყაზახეთის ტურისტული გამოფენა - „KITF 2016“
10. დუბაის ტურისტული გამოფენა- “ATM- 2016”

11. ჩინეთის ტურისტული გამოფენა - „COTTM 2016“

12. სამხრეთ კორეის ტურისტული გამოფენა „KOTFA 2016“

13. ბელორუსის ტურისტული გამოფენა “Leisure-2016

14. რუსეთის საერთაშორისო გამოფენა OTDYKH International Russian Travel, Market.

15. იაპონიის ტურისტული გამოფენა „JATA - 2016“

ასევე, რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო, არაბთა გაერთიანებული საამიროებში - ქალაქი შარჯა და ბაჰრეინის სამეფოში - ქალაქი მანამა, გამართულ ტურისტულ კონფერენციებში და უკრაინაში - ქალაქი ოდესა, მედ კრუიზის 48-ე გენერალურ ასამბლეაში და ქალაქ ნიკოლაევში ბიზნეს-ფორუმში „ნიკოლაევი-ბათუმი“.

შესრულების პროცენტი: 99,1%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 69,0%

**ქვეპროგრამის - რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით** საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 320,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 307,1 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

სექტემბრის თვეში საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დასრულდა რეგიონში მიმდინარე ღონისძიებების და ფესტივალების რეკლამირება, კერძოდ გარე რეკლამა - ბილბორდების და ავტო გაჩერებებზე სითი ლაითების სახით, ასევე, საბანერო რეკლამა თბილისის და ქუთაისის აეროპორტებში.

ქვეყნის შიგნით, რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირების მიზნით, ჟურნალ - „საქართველოს რკინიგზის“ პერიოდულ გამოცემაში ხორციელდება რეკლამის განთავსება. ასევე სარეკლამო ვიდეო რგოლების გაშვება ხორციელდებოდა მეტრო ჯორჯიას ავტობუსებში.

მიმდინარე წლის მარტის თვეში დაიწყო და წლის ბოლომდე გაგრძელდება ღონისძიება - ინტერნეტ რეკლამა საქართველოში. შედეგად სამი კვარტლის მონაცემებით მივიღეთ:

- 113 277 ვიზიტორი ვებ-გვერდზე: [www.goBatumi.com](http://www.goBatumi.com).
- 57 840 ფოლოუერი სოციალურ ქსელში: [www.facebook.com](http://www.facebook.com).

ქვეყნის შიდა სარეკლამო-საინფორმაციო ტურების ორგანიზების ფარგლებში დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული იქნა 3 ინფო ტური, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა 2 სატელევიზიო გადაცემის გაშვება.

შესრულების პროცენტი: 96,0%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 83,2%

**ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების პროგრამა** ითვალისწინებს ოთხ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 366,8 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება – 343,2 ათას ლარს, ქვეპროგრამა ძირითადად მოიცავს ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს“ შენახვისა და საინფორმაციო ცენტრების ფუნქციონირების ხარჯებს.

საანგარიშო პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქობულეთის, ქედის, შუახევის და ხულო ტურისტული საინფორმაციო ცენტრების მოდერნიზაცია და განახლება. გადამზადდა ტურისტული საინფორმაციო ცენტრების 25 თანამშრომელი. მაღალმთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტების გაცნობის მიზნით ჩატარდა 5 საინფორმაციო - სარეკლამო ტური სხვადასხვა ენოვანი გიდებისთვის და ტურისტული სააგენტოებისთვის.

ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“ გაწევრიანდა ევროპის სოფლად ტურიზმის ფედერაციაში - ევროგიტებში (EuroGites).

შესრულების პროცენტი: 93,6%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 73,6 %

ქვეპროგრამის - ადამიანური რესურსების განვითარება და ტურიზმის სფეროში ცნობიერების ამაღლება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 18,8 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება შეადგენს 7,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და არსებული საჭიროებების გადაჭრაზე მიზანმიმართული საკონსულტაციო ღონისძიებების (ტრენინგები) დაგეგმვა-განხორციელების მიზნით 2016 წლის მარტის თვიდან დაიწყო სხვადასხვა ტურისტული ობიექტების თანამშრომლების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმართული ტრენინგები, რომლის შედეგად სხვადასხვა განთავსებისა და კვების ობიექტების თანამშრომლებისთვის ჯამში ჩატარდა 25 ტრენინგი, რის შედეგადაც ტრენინგების კურსი გაიარა 211 ტურიზმის სექტორში დასაქმებულმა პირმა.

ასევე ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით დარგში არსებული სიახლეების შესახებ მიმდინარე წლის მარტის თვეში მომზადდა და გამოიცა პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენის სამი ნომერი, რომელიც მიემდვნა მიმდინარე პროექტებს: „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“, „სატრენინგო-საკონსულტაციო ცენტრი“, „იდუმალი სტუმარი“. თითოეული ნომერი დაიბეჭდა 700 ეგზემპლარად და გავრცელდა აჭარის რეგიონის მასშტაბით არსებულ ტურისტულ ობიექტებში.

მიმდინარე პროექტების შესახებ და ტურიზმის ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადდა ორი სოციალური ხასიათის ვიდეო რგოლი, რომელიც განთავსდა რეგიონალურ საზოგადოებრივ ტელევიზიაში.

შესრულების პროცენტი: 40,4 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 33,0%



ქვეპროგრამის - ტურიზმის დარგში მომსახურების საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 32,5 ათას ლარს, ხოლო დაფინანსება - 2,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ შექმნილი ხარისხის ნიშნის („რეკომენდებულია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ“) ტურისტული ობიექტებისთვის მინიჭების პროცესისთვის 2016 წლის თებერვლიდან დაიწყო ინტენსიური შეხვედრები განთავსების და კვების ობიექტების წარმომადგენლებთან, შემდგომ მოხდა მათი დარეგისტრირება აღნიშნული პროექტისათვის შექმნილ ვებ-გვერდზე [www.recommend.ge](http://www.recommend.ge). ამ ეტაპისათვის დარეგისტრირდა 78 ობიექტი, რომელთაგან მხოლოდ 46 ობიექტმა დააკმაყოფილა პროექტით გათვალისწინებული კრიტერიუმები და მიენიჭა „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ სტატუსი. ასევე, დამზადდა 46 ერთეული „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ ხარისხის ნიშანი (სადგამი აბრა), რომელიც გადაეცა „რეკომენდებულ“ ობიექტებს.

ამასთან პროცესის პარალელურად დამუშავდა და დაიბეჭდა ორენოვანი საინფორმაციო ფლაერი 5000 ეგზემპლარად, რომელიც ვრცელდება რეგიონის განთავსებისა და კვების ობიექტებში.

ქვეპროგრამის ფარგლებში „იდუმალი სტუმრის“ მეთოდოლოგიის გამოყენებით ტურისტულ ობიექტებში მომსახურების ხარისხის რეგულარული მონიტორინგის და შეფასების მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია აწარმოებს აჭარის რეგიონში არსებული განთავსების 90 და კვების 60 ობიექტის მომსახურების ხარისხის კვლევას.

შესრულების პროცენტი: 7,1%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 4,1%

ქვეპროგრამის - ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 198,0 ათას ლარს, ხოლო შესრულება - 129,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა საზღვაო სეზონის გახსნის ღონისძიება (ფესტივალი) და გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალი.

მიმდინარეობს ქ. ბათუმში არსებული ფოტო სტენდების განახლება და ტურისტული საინფორმაციო დაფების შეცვლა, რომელიც დასრულდება ოქტომბრის ბოლომდე.

ეკო და სოფლად ტურისტული პროდუქტების განვითარების მიზნით დაწყებულია ტურისტული მარშრუტების მარკირება, რომელიც დასრულდება წლის ბოლომდე.

შესრულების პროცენტი: 65,3%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 41,6%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო მიმდინარე წელს ახორციელებს ერთ პროგრამას - საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება, რომელიც მოიცავს სამ ქვეპროგრამას: საარქივო სამმართველოს მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე ორ ქვეპროგრამას - საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა და საარქივო საცავების რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის - საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 195,8 ათას ლარს, შესრულება შეადგენს 191,9 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შემენილია კომპიუტერული ტექნიკა - ათი ერთეული პერსონალური კომპიუტერი და ათი ერთეული სკანერი, ხელშეკრულებით აყვანილია თანამშრომლები, მიმდინარეობს საარქივო დოკუმენტების დასკანერება, დასკანერებული ფაილების ტექნიკური დამუშავება, ტექნიკური რევიზია, ანოტირება, ელექტრონული ფაილების თავმოყრა სპეციალურ პროგრამაში „საარქივო დოკუმენტების ელექტრონული რეესტრში“.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 78,1 %

ქვეპროგრამის - საარქივო საცავების რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 4,9 ათას ლარს, შესრულება შეადგენს 2,9 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შესყიდულია საარქივო საცავების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 59,2 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 1,8 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი 2016 წელს ახორციელებს ორ პროგრამას: საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ხუთ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - გზების რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 18 683,1 ათას ლარს, საკასო შესრულება 18 604,2 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

35 გზაზე (69.511 კმ) დასრულდა და 6 გზაზე (22.250 კმ) მიმდინარეობს ასფალტობეტონის საფარის დაგება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,6 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 83,7 %

**ქვეპროგრამის - ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია** საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 4 577,5 ათას ლარს, შესრულება - 4 454,6 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დასრულდა 9 ახალი ხიდის მშენებლობა და 10 ხიდის რეაბილიტაცია, მიმდინარეობს 4 ახალი ხიდის მშენებლობა და 4-ის რეაბილიტაცია.

დასრულდა 125-ისა და მიმდინარეობს 39 ხელოვნური ნაგებობის მშენებლობა.

2 დამცავ ზღუდარის მოწყობაზე სამუშაოები დასრულდა, ხოლო 2-ზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები.

მიმდინარეობს 2 რკინა-ბეტონის არხის მშენებლობა-მოწყობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 64,0 %

**ქვეპროგრამის - სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია** 2016 წლის სამ კვარტალში გეგმა შეადგენს 498,3 ათას ლარს, დაფინანსება - 486,7 ათასი ლარი.

დასრულდა 17-არხის რეკონსტრუქცია და 4-ზე მიმდინარეობს სამუშაოები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,7 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 67,8%

**ქვეპროგრამის - საგზაო ტექნიკის შექმნა** 2016 წლის ცხრა თვის გეგმა შეადგენს 500,0 ათას ლარს, დაფინანსება - 500,0 ათასი ლარი.

2016 წლის ცხრა თვის მდგომარეობით შექმნილია 5 ერთეული ბუღდოზერი. 5 ერთეულის შესყიდვაზე მიმდინარეობს ტექნიკის შერჩევა/ შეფასება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 50,0%

**ქვეპროგრამის - საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა** საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 5 075,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 4 643,5 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შექმნილია ავტომობილებისა და საგზაო ტექნიკის მიმდინარე რემონტის სათადარიგო ნაწილები.

დაქირავებული ტექნიკით შესრულებულია სამუშაოები.

განხორციელებულია გზების წმენდა ჩამონაშალებისაგან და თოვლის საფარისაგან.

შექმნილია საწვავ-საპოხი მასალები.

შეძენილია საავტომობილო გზების მონაკვეთებზე ბეტონის საფარის მოწყობისათვის მონოლითური ბეტონი, ღორღი და სხვა სამშენებლო მასალები.

ორმულად შეკეთდა ასფალტობეტონის საფარი.

შესრულებულია ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები.

შესყიდულია ლითონისა და პლასტმასის მილები.

შესყიდულია საგზაო ნიშნების დამზადებისათვის საჭირო მასალები.

შეძენილია განსახორციელებელი ღონისძიებების საპროექტო დოკუმენტაცია.

განხორციელებულია ავტომანქანების თანამგზავრული თვალთვალის მომსახურება.

გაცემულია საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებაზე აყვანილი შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 91,5 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 69,1 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 2016 წელს ახორციელებს ხუთ პროგრამას: ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა, სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა, მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა,

რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს სამ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვისთვის 2016 წლის ცხრა თვეში გათვალისწინებულია 50,3 ათასი ლარი, საიდანაც საკასო შესრულება შეადგენს 46,2 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის N141 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“-გან ელექტრონული აუქციონების განცხადების განთავსებისა და ვაჭრობის პროცესის უზრუნველყოფის მომსახურეობის შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 22,5 ათასი ლარი;
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის N15 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა სატენდერო დოკუმენტაციის და განცხადების გამოქვეყნების საფასურის გადახდა, რომლის საკასო ხარჯმა შეადგინა -0,2 ათასი ლარი;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაცვის მიზნით განხორციელდა დარაჯების (ყრაულების) დროებით სამუშაოზე აყვანა, სამი კვარტლის საკასო ხარჯმა შეადგინა - 14,0 ათასი ლარი;

4. შპს „აუდიტორული კომპანია იბერ აუდიტ კონსალტინგ“-თან 2015 წლის 20 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N41 ხელშეკრულების ფარგლებში 2015 წლის ბოლოს წარმოდგენილი სახელმწიფო ქონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საბაზრო ღირებულებისა და საიჯარო ღირებულების დადგენის (აუდიტორული დასკვნა) მომსახურების შესყიდვაზე თანხის გადარიცხვა განხორციელდა 2016 წლის იანვრის თვეში. საკასო ხარჯმა შეადგინა 2,9 ათასი ლარი.
5. სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიასთან“ 2015 წლის 23 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N22 ხელშეკრულების ფარგლებში 2015 წლის ბოლოს წარმოდგენილი აზომვითი ნახაზების შედგენის მომსახურების შესყიდვაზე თანხის გადარიცხვა განხორციელდა 2016 წლის იანვრის თვეში. საკასო ხარჯმა შეადგინა 0,2 ათასი ლარი.
6. 2016 წლის 21 იანვარს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N10 სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიასთან“ აზომვითი ნახაზების მომზადების თაობაზე საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 2,9 ათასი ლარი.
7. 2016 წლის 14 მარტს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N55 შპს „აუდიტ-ეკონომიქს“-თან აუდიტორული (300 დასკვნა) მომსახურების შესყიდვაზე. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 3,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 91,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 67,9%

**ქვეპროგრამის - რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი 2016 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 80,5 ათას ლარს, საკასო შესრულება 64,5 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:**

2016 წელს დაიწყო რეგიონის საინვესტიციო საპრომოუშენო მასალების განახლება, საპრომოუშენო მასალების გამოცემა, ბეჭდვა განხორციელდა ორ ენაზე, ინგლისურად და რუსულად. გამოცხადებული იქნა ტენდერი ტექსტის და ფოტომასალის დაკაბადონებასა და დიზაინის შექმნაზე, სულ საინვესტიციო პოტენციალის საპრომოუშენო მასალების მომზადებაზე გაწეულია 40,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების „საერთაშორისო საინვესტიციო ტურების ორგანიზების“ ფარგლებში მოეწყო ბიზნეს ფორუმი პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქ ვროცლავში, სადაც ჩატარდა პრეზენტაციები 100-ზე მეტი პოლონელი ბიზნესმენისთვის. ასევე მოეწყო ბიზნეს ფორუმი უკრაინაში ქალაქ ნიკოლაევში, სადაც ჩატარდა პრეზენტაციები 120-ზე მეტი უკრაინელი ბიზნესმენისთვის. ფორუმების საერთო ხარჯმა შეადგინა 23,6 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 80,1%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 21,9 %

**ქვეპროგრამის - ეკონომიკური ობსერვატორია 2016 წლის ცხრა თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 37,5 ათას ლარს, ფაქტიური დაფინანსება 16,4 ათას ლარს.**

ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეულ სამუშაო ჯგუფის ექსპერტებზე გაცემულია ხელფასები. სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი იქნა რეგიონში ეკონომიკური ზრდაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი პრეზენტაციის სახით.

განხორციელდა რეგიონის სამომხმარებლო ბაზრის ზრდის ალტერნატიული გზების განსაზღვრაზე მუშაობა, მომზადებულია ანგარიში და პრეზენტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაიგეგმა აჭარის რეგიონის ექსპორტიორთა კვლევა, საანგარიშო პერიოდში სამუშაო ჯგუფის მიერ დამუშავდა მონაცემთა ბაზა და მომზადდა კითხვარები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 43,7%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 27,3 %

**ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების სივრცითი მოწყობის დოკუმენტის შედგენა, რომლის 2016 წლის სამი კვარტლის გეგმა შეადგენს 97,8 ათას ლარს, საკასო შესრულება 88,9 ათას ლარს.**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აჭარის ტერიტორიაზე განთავსებული მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმების შედგენა. მიმდინარე წლისათვის დასრულდება ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის დოკუმენტების - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტის შედგენა.

ამ ეტაპისათვის შესრულებულია წინასაკვლევი - საინფორმაციო სამუშაოები და არსებული მდგომარეობის შეფასებისა და პერსპექტიული ხედვების წინამოსამზადებელი სამუშაოები.

ასევე ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა და ქალაქ ქობულეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, დაწყებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დასამტკიცებლად წარდგენის პროცედურები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 59,3 %

**პროგრამის - სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 321,7 ათას ლარს, საკასო შესრულება 1 253,5 ათას ლარს.**

სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში 2016 წლისთვის დასრულდა ხულოს მუნიციპალიტეტში, ვაშლოვანის დასახლებაში 72 ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, რომელიც დაწყებულ იქნა 2014 წელს. საცხოვრებელი ბინებში დასრულებულია სრული კეთილმოწყობის სამუშაოები, კეთილმოწყობილია ეზო, საყრდენი კედლები. საანგარიშო პერიოდში გაწეულია 601,8 ათასი ლარი. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მეოთხე კვარტალში.

ასევე პროგრამის ფარგლებში 2016 წლის სექტემბრის თვეში დასრულდა ქალაქ ბათუმში, თამარის დასახლებაში 2015 წელს დაწყებული 58 ბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. საცხოვრებელი ბინები მოწყობილია ე.წ. „თეთრი კარკასი“-ს ფორმატში, რაც გულისხმობს სამონტაჟო სამუშაოებისა და კეთილმოწყობა-მოპირკეთების სამუშაოების დასრულებას, სადარბაზოს სრულ დასრულებას, საინჟინრო

კომუნიკაციებით (წყალი, კანალიზაცია, ელექტრომომარაგება, ბუნებრივი გაზი) თითოეული საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფას, საცხოვრებელ ბინებში იატაკებზე ქვიშა-ბეტონის ხსნარის მჭიმისა და კედლების შეფითხვის სამუშაოების შესრულებას. 2016 წლის 9 თვის მდგომარეობით დაიხარჯა 651,7 ათასი ლარი. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მეოთხე კვარტალში.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 94,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 57,7 %

**პროგრამის - მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობა** 2016 წლის ცხრა თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 99,9 ათას ლარს, საკასო შესრულება 99,9 ათას ლარს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა პროგრამის ბენეფიციართა - 23 მსესხებლის პროცენტის თანადაფინანსება.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 14,9 %

სსიპ „ბათუმის ბულვარი“ ახორციელებს ორ ქვეპროგრამას - ბათუმის ბულვარის მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის - ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 4 314,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 3 928,1 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ძირითადი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „იმერეთი - 98“ (ელექტრონული ტენდერი SPA150025592) ბათუმის ბულვარში ნინოშვილის ქუჩის გასწვრივ არსებული დაზიანებული მოზაიკის დემონტაჟი და მის ადგილას ბეტონის დეკორატიული ფილებისა და ბორდიურების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით - 305,2 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 284,3 ათასი ლარი;

2. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/მ „მერაბ კონცელიძე“ - (ელექტრონული ტენდერი SPA160000554) სხვადასხვა მინერალური სასუქებისა და მხამქიმკატების შესყიდვა ღირებულებით - 22,7 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 22,7 ათასი ლარი;

3. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „მარეთი 777“ - (ელექტრონული ტენდერი SPA160000076) ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად დაქირავებული სპეციალური ავტოტექნიკის საშუალებებით მომსახურების შესყიდვა ღირებულებით - 45,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 45,0 ათასი ლარი;

4. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/მ „მორენა ქათამაძე“ - (ელექტრონული ტენდერი SPA160000555) მცენარეული ნიადაგი (ტყის მიწა) შესყიდვა ღირებულებით - 6,8 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 6,8 ათასი ლარი;

5. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბიოსერვისი“ - (ელექტრონული ტენდერი SPA160000556) ორგანული სასუქის (ბიო) შესყიდვა ღირებულებით - 18,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 18,0 ათასი ლარი;

6. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ჩაქვის ავტოსატრანსპორტო საწარმო“ - (ელექტრონული ტენდერი SPA160002070) ბულვარის ტერიტორიაზე ფეხით მოსიარულეთა ბილიკის (პრომინადი) გასწვრივ განლაგებულ გარე განათების ბოძებზე „სექტანტებზე“ დაზიანებული კაბელების შეცვლა, დამიწების კონტურების მოწყობა, საოცრებათა პარკში გარე განათების ელემენტებზე ბეტონის საძირკვლისა და დამიწების კონტურების მოწყობის სამუშაოს შესყიდვა ღირებულებით - 179,5 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 179,5 ათასი ლარი;

7. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აჭარგანათება“ - ელექტრონული ტენდერი (SPA150032086) ბათუმის ბულვარში არსებული გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლოატაციის მომსახურების შესყიდვა ღირებულებით - 199,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 126,9 ათასი ლარი;

8. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/ს „ამირან მურვანიძე“ - ელექტრონული ტენდერი (SPA150033300) ბათუმის ბულვარში არსებული ზოოკუთხისა და ზოოკუთხის მობინადრეთათვის გასაწევი მომსახურების შესყიდვა ღირებულებით - 55,6 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 41,7 ათასი ლარი;

9. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „სანდასუფთავება“ - ელექტრონული ტენდერი (SPA150031583) ბათუმის ბულვარის ტერიტორიის დასუფთავების შესყიდვა ღირებულებით - 649,4 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 536,6 ათასი ლარი;

10. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო“ ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური ფასეულობებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ღირებულებით - 602,4 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 451,8 ათასი ლარი;

11. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ორიემი“ ელექტრონული ტენდერი (SPA150024092) ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე არსებული შადრევნებისათვის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა ღირებულებით - 118,9 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 35,2 ათასი ლარი;

12. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „სასტუმრო სანატორიუმი ოაზისი“ ბათუმის ბულვარის ტოპოგრაფიული გეგმისა და ბათუმის ბულვარის კონცეფციის შემუშავება დაგეგმარების მომსახურების შესყიდვა ღირებულებით 240,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 48,0 ათასი ლარი;

13. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბათუმის შადრევნები“ ბულვარში არსებული შადრევნების მოვლა-ექსპლოატაციის მომსახურების



შესყიდვა ღირებულებით 25,9 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 25,2 ათასი ლარი;

14. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ვლს“ ბულვარში არსებული შადრევნების მოვლა-ექსპლოატაციის მომსახურების შესყიდვა ღირებულებით 17,2 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 17,2 ათასი ლარი;

15. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სს „ენერგო-პრო ჯორჯიათან“ ელექტრო ენერჯის შესყიდვაზე, საანგარიშო პერიოდში გადახდილია 290,1 ათასი ლარი.

16. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „მარეთი 777“ ელექტრონული ტენდერი (SPA160012790) ბათუმის ბულვარისთვის ბაღის კლასიკური სკამების რემონტის შესყიდვა ღირებულებით - 47,8 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 47,8 ათასი ლარი.

17. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „მარეთი 777“ (ელექტრონული ტენდერი (SPA160010379) ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად დაქირავებული სპეციალური ავტოტექნიკის საშუალებებით მომსახურების შესყიდვა ღირებულებით - 15,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 15,0 ათასი ლარი.

18. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „სანდასუფთავება“ ელექტრონული ტენდერი (SPA160011223) ბათუმის ბულვარის ტერიტორიის დასუფთავების შესყიდვა ღირებულებით - 80,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 76,4 ათასი ლარი.

19. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბათგამწვანება“ ელექტრონული ტენდერი (SPA160000551) ბათუმის ბულვარისთვის ყვავილების შესყიდვა ღირებულებით -58,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 58,0 ათასი ლარი.

20. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „Smart Neti“ ელექტრონული ტენდერი (SPA160006137) გაზონის სათიბი საშუალებების შესყიდვა ღირებულებით - 27,7 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 27,7 ათასი ლარი.

21. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ზურა 2012“ ელექტრონული ტენდერი (SPA160000551) ბათუმის ბულვარისთვის ყვავილების შესყიდვა ღირებულებით -5,4 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 5,4 ათასი ლარი.

22. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ჯეო პარკი“ ელექტრონული ტენდერი (SPA160009291) ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე ტრენაჟორებისა და ფანჩატურების შესყიდვა ღირებულებით - 40,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 40,0 ათასი ლარი.

23. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ხარება 2016“ ელექტრონული ტენდერი (SPA160003581) სუვენირების დახლის შესყიდვა ღირებულებით - 96,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 96,0 ათასი ლარი.

24. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ალიგატორი 1“ ელექტრონული ტენდერი (SPA160007800) საგზაო მარკირების საღებავების შესყიდვა ღირებულებით - 129,8 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 129,8 ათასი ლარი.

25. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ლიტომი“ უნივერსიტეტის მოედნიდან კ/ბ „ტყუპებამდე“ შუა ალეაში ბუნებრივი წვიმმიმღები ჭების, ბეტონის დეკორატიული ფილებისა და ბორდიურების მოწყობის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა ღირებულებით - 420,6 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 357,5 ათასი ლარი.

26. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „NEW GEORGIA“ ელექტრონული ტენდერი (SPA160008775) ბუნებრივი გრანიტის ფილების სახელმწიფო შესყიდვა ღირებულებით - 66,5 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 66,5 ათასი ლარი.

27. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბათუმის შადრევნები“ ელექტრონული ტენდერი (SPA160005934) ბათუმის ბულვარში არსებული შადრევნების მოვლა-ექსპლოატაციის მომსახურება ღირებულებით 156,8 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადარიცხულია 95,2 ათასი ლარი.

28. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბათუმის შადრევნები“ ელექტრონული ტენდერი (SPA160013923) ბათუმის ბულვარში არსებული შადრევნების მოვლა-ექსპლოატაციის მომსახურება ღირებულებით 28,8 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში გადარიცხულია 28,8 ათასი ლარი.

29. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბათგამწვანება“ ელექტრონული ტენდერი (SPA160013020) ხე-მცენარეების შესყიდვა-დარგვა ღირებულებით - 54,8 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 54,8 ათასი ლარი.

30. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ლ-დაგი-2009“ ელექტრონული ტენდერი (SPA160002072) ხე-მცენარეების შესყიდვა-დარგვა ღირებულებით - 298,8 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 285,9 ათასი ლარი.

31. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბსკ“ ელექტრონული ტენდერი (SPA1600112270) კვარიათის სანაპირო ზოლის მოსწორების სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით - 19,7 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 19,7 ათასი ლარი.

32. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ტაო“ ელექტრონული ტენდერი (SPA160000552) სეზონური ყვავილების შესყიდვა ღირებულებით - 152,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 120,0 ათასი ლარი.

33. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „უნიფორმა და უსაფრთხოება“ ელექტრონული ტენდერი (SPA160013023) სპეცტანსაცმლისა და აქცესუარების შესყიდვა ღირებულებით - 29,5 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 29,5 ათასი ლარი.

34. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „იმპექსი“ ელექტრონული ტენდერი (SPA160013687) ბოჭკინტების შესყიდვა ღირებულებით - 19,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 19,0 ათასი ლარი.

35. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აგროდეკორსერვისი“ ელექტრონული ტენდერი (SPA160000553) ხე-მცენარეების შესყიდვა-დარგვა ღირებულებით - 9,9 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 9,9 ათასი ლარი.

36. გაფორმებულია ხელშეკრულება შსს „რომპეტროლ საქართველო“ საწვავის შესყიდვა ღირებულებით - 22,7 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 15,5 ათასი ლარი.

37. გაფორმებულია ხელშეკრულება შსს „რომპეტროლ საქართველო“ საწვავის შესყიდვა ღირებულებით - 13,2 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 4,1 ათასი ლარი.

38. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „1001 წვრილმანი“ სხვადასხვა სახის ხელსაწყოების შესყიდვა ღირებულებით - 3,2 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 3,2 ათასი ლარი.

39. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „აუდიტორული კომპანია იბერ აუდიტ კოლსანტინგი“ აუდიტორული მომსახურების შესყიდვა ღირებულებით 4,9 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 4,9 ათასი ლარი.

41. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „NEW GEORGIA“ ელექტრონული ტენდერი (SPA160013275) ბუნებრივი გრანიტის ფილების სახელმწიფო შესყიდვა ღირებულებით - 135,0 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 135,0 ათასი ლარი;

42. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/მ გენადი გუმბერიძე ელექტრონული ტენდერი (SPA160008770) ავტომანქანების რეცხვის მომსახურების შესყიდვა ღირებულებით - 3,0 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 3,0 ათასი ლარი;

43. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ფელო“ ბულვარის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებებისათვის ძრავის ზეთის შესყიდვა ღირებულებით - 3,9 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 2,3 ათასი ლარი;

44. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ საწვავის შესყიდვა ღირებულებით 3,9 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 2,3 ათასი ლარი;

45. გაფორმებულია ხელშეკრულება ფ/პ „გიჟუა გარბანელიძე“ ეკონომ-ონკანების გამარტივებული შესყიდვა ღირებულებით 3,9 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 3,9 ათასი ლარი;

46. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ინტერკლიმატი“ კონდენციონერების გამარტივებული შესყიდვა ღირებულებით 2,9 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 2,9 ათასი ლარი;

47. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ინტერკლიმატი“ ადმინისტრაციის შენობის გათბობის ქვაბის გამარტივებული შესყიდვა ღირებულებით 2,4 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 2,4 ათასი ლარი;

48. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს “ჩაქვის ავტოსატრანსპორტო საწარმო“ დაზიანებული კაბელის ლაბორატორიული კვლევა და მათი აღდგენის სამუშაოების

შესყიდვა ღირებულებით - 4.9 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 4,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი - 91,1 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან - 37,9 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2016 წელს განათლების მიმართულებით ახორციელებს ოთხ პროგრამას: საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა, განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, განათლების ხარისხის გაუმჯობესება და აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

პროგრამა - საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 3 532,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 3 531,5 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულებულია 1 საჯარო სკოლის მშენებლობა (ქ. ბათუმის N1 საჯარო სკოლა) და 4 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ზედა განთიადის საჯარო სკოლა, ხულოს მუნიციპალიტეტში სოფელ თხილვანას საჯარო სკოლა, ქედის მუნიციპალიტეტში სოფელ დანდალოს საჯარო სკოლა და ქ. ბათუმის N17 საჯარო სკოლა), რომლებზეც მიღება-ჩაბარება და საბოლოო ანგარიშსწორება დასრულდება ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ. ასევე მიმდინარეობს 3 საჯარო სკოლის მშენებლობისა და 9 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სულ გაწეულია 3 479,3 ათასი ლარი. კერძოდ:

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტუნაძეების საჯარო სკოლის მშენებლობა (2016 წ), რომელსაც აწარმოებს კომპანია შპს „ბზა“, დაფინანსებულია 67,0 ათასი ლარის სამუშაოები;

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლის მშენებლობა (2015-2016 წწ), რომელსაც აწარმოებს კომპანია შპს „ნოველთ“, გაწეულია 413,5 ათასი ლარი;

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ჭარნალი საჯარო სკოლის მშენებლობა (2015-2016 წწ), რომელსაც აწარმოებს კომპანია შპს „ბზა“, გაწეულია 307,8 ათასი ლარი;

სსიპ ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლის მშენებლობა (2015-2016 წწ), რომელსაც აწარმოებს კომპანია შპს „ბილდ მენჯემენტი“, გაწეულია 672,2 ათასი ლარი;

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (2015- 2016 წწ), რომელსაც აწარმოებს შპს „ტაო“, გაწეულია 96,2 ათასი ლარი;

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (2016 წელი), რომელსაც აწარმოებს შპს „ბზა“, გაწეულია 315,9 ათასი ლარი;

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (2016 წელი), რომელსაც აწარმოებს შპს „წყარო“, გაწეულია 394,7 ათასი ლარი;

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (2016 წელი), რომელსაც აწარმოებს შპს „ბზა“, გაწეულია 376,3 ათასი ლარი;

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (2016 წელი), რომელსაც აწარმოებს შპს „ვიგორა“, გაწეულია 297,0 ათასი ლარი;

სსიპ ბათუმის N17 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (2016 წელი), რომელსაც აწარმოებს შპს „პატრიოტი - 2006“, გაწეულია 303,7 ათასი ლარი;

სსიპ ბათუმის N5 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (2016 წელი), რომელსაც აწარმოებს შპს „ბილდ მენეჯმენტი“, გაწეულია 73,1 ათასი ლარი;

სსიპ ქ. ბათუმის N3 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (2016 წელი), რომელსაც აწარმოებს შპს „ბზა“, გაწეულია 20,0 ათასი ლარი;

სსიპ ქ. ბათუმის N29 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (2016 წელი), რომელსაც აწარმოებს შპს „ნიკარემ სტროის ფილიალი საქართველოში“, გაწეულია 5,0 ათასი ლარი;

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (2016 წელი), რომელსაც აწარმოებს შპს „ნიკარემ სტროის ფილიალი საქართველოში“, გაწეულია 60,0 ათასი ლარი;

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების საჯარო სკოლის ეზოს რეაბილიტაცია (2016 წელი), რომელსაც აწარმოებს შპს „ნიკარემ სტროის ფილიალი საქართველოში“, გაწეულია 45,0 ათასი ლარი;

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბრის საჯარო სკოლის ფასადის რეაბილიტაცია (2016 წელი), რომელსაც აწარმოებს შპს „ნიკარემ სტროის ფილიალი საქართველოში“, გაწეულია 20,0 ათასი ლარი;

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედვას N1 საჯარო სკოლის ღობის რეაბილიტაცია (2016 წელი), რომელსაც აწარმოებს შპს „ნიკარემ სტროის ფილიალი საქართველოში“, გაწეულია 11,9 ათასი ლარი;

გაწეულია ტექნიკური დოკუმენტაციის, ექსპერტიზისა და ქვეპროგრამის კოორდინატორის ანაზღაურების ხარჯები 52,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 60,6%

**ქვეპროგრამის - საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 20,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 20,0 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შესყიდული იქნა ხულოს პანსიონის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია თანხით 7,0 ათასი ლარი, რეაბილიტაცია გათვლილია ორ წელზე 2016-2017 წწ და ასევე მიმდინარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის საპანსიონო კორპუსის ეზოს მოწყობა (შენობას რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2015 წელს), რომელზეც გადარიცხულია 13,0 ათასი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 22,2%

**ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების ინვენტარითა და ლაბორატორიებით აღჭურვა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 180,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 180,0 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

სასკოლო ინვენტარის შეძენის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის თანახმად გაფორმდა ხელშეკრულება სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკას“-თან. შეძენილია 525 კომპლექტი მოსწავლის ერთადგილიანი მერხი და სკამი, 140 ცალი საკლასო კარადა, 100 კომპლექტი მასწავლებლის მაგიდა და სკამი და 7 კომპლექტი სამასწავლებლოს ინვენტარი (15 ადგილიანი მაგიდა 15 სკამით) შემდეგი 7 საჯარო სკოლისათვის:

- ქობულეთის სოფელ კვირიკეს N1 საჯარო სკოლა
- ქობულეთის სოფელ ალამბრის საჯარო სკოლა
- შუახევის სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლა

- ხულოს დაბა ხულოს საჯარო სკოლა
- ქედის სოფელ დანდალოს საჯარო სკოლა
- ხელვაჩაურის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლა
- ბათუმის N1 საჯარო სკოლა.

ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიების შექმნის მიზნით შპს „ჯეო დეკორ“-თან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად განხორციელდა სასკოლო ლაბორატორიების მიწოდება 3 საჯარო სკოლაში: ხულოს ხიხაძის საჯარო სკოლა, შუახევის შუბნის საჯარო სკოლა, ქედის ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 99,9%

**ქვეპროგრამის - სპორტის განვითარების ხელშეწყობა სკოლებში** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 100,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 98,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დასრულებულია ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, სრულდება ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულას და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტუნეთის სპორტული დარბაზების რეაბილიტაცია. მიმდინარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის და შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგინაურის საჯარო სკოლის დარბაზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ხოლო რაც შეეხება ქ. ბათუმის N17 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის მშენებლობას, ამ ეტაპზე მშენებელ კომპანიასთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სამუშაოები დაიწყება მიწის ნაკვეთის გაერთიანების და მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,7%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 18,1%

**პროგრამა - განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა** მოიცავს ხუთ ქვეპროგრამას.

**ქვეპროგრამის - ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის** 2016 წლის ცხრა თვის გეგმა შეადგენს 105,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 94,5 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2016 წლის საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამით გათვალისწინებული მაღალმთიანი აჭარის (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში არსებული სხვადასხვა საგნის მასწავლებლის დეფიციტის შესავსებად 30 მასწავლებლის ნაცვლად სულ დასაქმებულია 28 პედაგოგი, რის გამო პედაგოგთა შრომის ანაზღაურების მუხლში შეიქმნა ეკონომია 11,0 ათასი ლარი. სულ პედაგოგთა ანაზღაურებაზე გაწეულია 84,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 89,6 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 62,6%

**ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განვითარება** 2016 წლის 9 თვის გეგმა შეადგენს 31,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 30,4 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შპს „ლამპარი 99“ განხორციელა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, შესაბამისად 10 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შევსებულია მხატვრული ლიტერატურით, კერძოდ:

- ხელვაჩაურის მახინჯაურისა და სოფელ ჭარნალის საჯარო სკოლები;
- ქობულეთის სოფელ ბობოყვათისა და სოფელ ქვედა კვირიკეს საჯარო სკოლები;
- ქედის სოფელ უჩხითისა და სოფელ დანდალოს საჯარო სკოლები;
- შუახევის სოფელ დარჩიძეებისა და სოფელ ხაბელაშვილები საჯარო სკოლები;
- ხულოს სოფელ უჩხოსა და სოფელ ქედლების საჯარო სკოლები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,4 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 97,4%

**ქვეპროგრამის - სტუდენტთა დახმარება** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 500,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 499,8 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

გამოცხადდა 2016 წელს დასაფინანსებელი ბენეფიციარების შესარჩევი კონკურსი, რომლის საფუძველზეც დაფინანსდა 33 ბაკალავრის საფეხურის და 10 მაგისტრის საფეხურის სტუდენტი. დაფინანსება გაუგრძელდა აკადემიური მოსწრების მქონე 451 სტუდენტს, რომლებმაც გადალახეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ბარიერი - 71% - გაუგრძელდათ დაფინანსება. სულ დაფინანსებულია სოციალურად დაუცველი, ობოლი, მრავალშვილიანი ოჯახის და მაღალმთიანი რეგიონის 494 ბენეფიციარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 54,3%

**ქვეპროგრამის - უმაღლესი განათლების ხელშეწყობა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 206,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 205,1 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

სწავლა საზღვარგარეთ - დაფინანსდა 4 სტუდენტის (დავით დათუნაიშვილი, ერეკლე მუჯირი, თორნიკე ჯაშია, ნონა დავითაია) 2015-2016 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის ხარჯები. აგრეთვე დაფინანსდა 11 სტუდენტის (დავით დათუნაიშვილი, ერეკლე მუჯირი, თორნიკე ჯაშია, ნონა დავითაია, ნანა თურმანიძე, უჩა სურმანიძე, ანა დიასამიძე, თამარ კაიკაციშვილი, იმედა იაკოვენკო, მათე თანდილავა, ნინო ძველაია) 2016-2017 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის ხარჯები.

საჯარო ლექცია - დაფინანსდა 5 პროექტი: ჯემალ ხუბუას, კორნელი კაკაჩიას, ჯონა შერშუნოვიჩის, ქეთევან მუხიგულისა და ელიზიუ მანუელ კომტას საჯარო ლექციების ორგანიზება.

სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა - დაფინანსდა მუმრან ცეცლხაძისა (გერმანია, ფრანკფურტი, 2016 წლის 1-3 აგვისტო, საერთაშორისო კონფერენცია - "Finance and Economics Conference") და მირანდა ხაჯიშვილის (თურქეთი, სტამბული, 28-31 აგვისტო, საერთაშორისო კონფერენცია - „European Conference on Renewable Energy Systems“) სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა.

საზაფხულო სკოლა - დაფინანსდა სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზაფხულო სკოლა - „ენების კვირეული ბსუ-სთან ერთად“ და "დიგიტალური ჰუმანიტარიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა". მასში მონაწილეობა

მიიღო 150-ზე მეტმა სტუდენტმა და 40-მდე პროფესორმა, როგორც საქართველოდან, ასევე ევროპის ქვეყნებიდან.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 65,2%

**ქვეპროგრამის - უცხოეთში სტაჟირება** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 7,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 5,9 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამის ფარგლებში საზღვარგარეთ გაიგზავნა სამი სტაჟიორი:

ლია ჩხარტიშვილი, რომელმაც 2016 წლის 29 თებერვლიდან 2016 წლის 28 აგვისტომდე სტაჟირება გაიარა საფრანგეთში, ქ. პარიზში, მუსიკის საერთაშორისო საბჭოში, პროექტის მართვისა და კომუნიკაციის მიმართულებით.

თამარ დუმბაძე, რომელიც 2016 წლის 01 ივნისიდან 2016 წლის 30 ნოემბრამდე სტაჟირებას გადის ესპანეთში, ვალენსიაში საზღვაო ინდუსტრიულ კომპანიაში კომერციულ საკითხებში ასისტენტის პოზიციაზე.

თამთა გორაძე, რომელიც 2016 წლის 26 სექტემბრიდან 2017 წლის თებერვლამდე სტაჟირებას გადის საფრანგეთში, ქალაქ მორში განათლებისა და პროფესიული ორიენტაციის ცენტრში საგანმანათლებლო და სასკოლო ღონისძიებების ასისტენტის პოზიციაზე.

2016 წლის 6 ივნისიდან 2016 წლის 6 ივლისამდე საქართველოში (სამინისტროში, განათლების ფონდში, ბათუმის საკრებულოში) სტაჟირება გაიარა საფრანგეთის მოქალაქე კლეო ფინკმა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 75,6 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 53,2%

**პროგრამა - განათლების ხარისხის გაუმჯობესება** მოიცავს ერთ ქვეპროგრამას.

**ქვეპროგრამის - კონკურსები და ოლიმპიადები** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 29,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 21,0 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ექსკურსიები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ: 12 მოსწავლის და 1 თანმხლები პირის თურქეთის სამეცნიერო ბანაკში ტრანსპორტირება (იზმირი - ბათუმი - იზმირი), მაისურებით და დაზღვევით უზრუნველყოფა.

ექსკურსია დასავლეთ საქართველოში (პრომეთეს მღვიმე, ოკაცეს კანიონი, ოკაცეს ჩანჩქერი, კვება, ტრანსპორტირება, მაისური) ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეებისათვის;

სასკოლო კლუბები: 01 თებერვლიდან 10 მარტის ჩათვლით მიმდინარეობდა საბუთების მიღება. კომისიამ საანგარიშო პერიოდში გამოავლინა მხოლოდ 2 გამარჯვებული პროექტი დაფინანსების მიზნით.

კონკურსებში და ოლიმპიადებში ჩართულია 7 500 მოსწავლე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 71,2 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 18,7%



პროგრამა - აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მოიცავს სამ ქვეპროგრამას: სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“ და სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“.

ქვეპროგრამის - სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 601,4 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 1 579,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საქმიანობა - 9 თვის თანამდებობრივი სარგო 720,3 ათასი ლარის ოდენობით; სამეცნიერო ექსპედიციებზე გაწეულია 29,5 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობა: შეძენილია 59,1 ათასი ლარის 58 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა, 260,7 ათასი ლარის ღირებულების სტამბა, 23,1 ათასი ლარის ავეჯი, 38,2 ათასი ლარის წიგნები ბიბლიოთეკისათვის; მოეწყო ლაბორატორიები 90,5 ათასი ლარის ღირებულებით, განხორციელდა უნივერსიტეტის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები თანხით 358,3 ათასი ლარი.

აუთვისებელი რესურსი წარმოადგენს შრომის ანაზღაურების მუხლში შექმნილ ეკონომიას, კერძოდ ნაცვლად 120 თანამშრომლისა ცხრა თვეში ანაზღაურების ხარჯი საშუალოდ გაიწია 114 თანამშრომელზე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,6 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 65,8%

ქვეპროგრამის - სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“ საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 390,0 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 379,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დაფინანსებულია კადრების მომზადება, გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და სტაჟირება 40,0 ათასი ლარის ოდენობით, გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - შეძენილია/განახლებულია 242,1 ათასი ლარის სიმულატორები და 97,2 ათასი ლარის ლაბორატორიის მოწყობილობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 97,3%

ქვეპროგრამის - სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“ საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 575,0 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 556,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

უმაღლესი განათლების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით გაიცა 9 თვის შრომის ანაზღაურება 517,3 ათასი ლარის ოდენობით.

შეძენილია ხელოვნების უნივერსიტეტის შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რაზეც გაწეულია 39,1 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 70,0%

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2016 წელს კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაციის მიმართულებით ახორციელებს ხუთ პროგრამას.**

**პროგრამის - საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 162,0 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 151,7 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ერთი პროფესიული განვითარების ღონისძიება - შეფასების ინდიკატორების შემუშავება და დანერგვა - თანხით 14,4 ათასი ლარი, ასევე შემოქმედებითი ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა ბრიტანული თეატრალური კომპანიის „გეკო“ გასტროლი ბათუმში სპექტაკლით „ინსტიტუტი“, რომლის ჩვენებაც „ბათუმის მუსიკალურ ცენტრში“ გაიმართა, რაზეც გაწეულია 135,3 ათასი ლარი. დამზადდა ბრენდირებული ღვინო სასაჩუქრედ, საერთო ღირებულებით 2,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 93,6 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 60,7%

**პროგრამის - აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 36,5 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 21,5 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დოკუმენტური ფილმების წარმოებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვაზე ჩატარდა კონკურსი, სადაც გამარჯვებული გამოვლინდა შპს „აი ენდ ბი“, რომელიც გადაიღებს დოკუმენტურ ფილმს „სხვა ფერი“, გადაღებები დაიწყება ნოემბრის თვეში. აღნიშნულ ღონისძიებისთვის პროგრამაში გათვალისწინებული იყო საავანსო თანხის გაცემა, რომელიც საანგარიშო პერიოდში გამარჯვებული კომპანიის მიერ არ იქნა მოთხოვნილი;

ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზება აჭარაში გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდა ა(ა)იპ „პერსონაჟი“, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა 42,4 ათას ლარზე, საანგარიშო პერიოდისათვის ხარჯი გაწეულია 20,0 ათასი ლარი;

საგანმანათლებლო ღონისძიების ფარგლებში, კერძოდ, „ჯიფონის“ ფესტივალზე იტალიაში გაიგზავნა ერთი ბათუმელი ახალგაზრდა, რომელსაც დაუფინანსდა მგზავრობის ხარჯი 1,5 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 58,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 17,9%

**პროგრამის - ფოლკლორის ხელშეწყობა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 113,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 108,3 ათას ლარს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში შეძენილი იქნა სასცენო კოსტიუმები და აქსესუარები, მუნიციპალიტეტების კულტურის ცენტრებთან არსებული 18 ანსამბლის 215 მონაწილისათვის. ოლიპიადამი გამარჯვებული ანსამბლების 460 მონაწილისათვის

მიმდინარეობს სასცენო კოსტიუმებისა და აქსესუარების შექმნა-დამზადება, აღნიშნული ღონისძიებისათვის ხარჯი საანგარიშო პერიოდისათვის გაწეულია 85,0 ათასი ლარი;

ჩატარდა აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 102 ანსამბლმა, 2098 შემსრულებელმა. საანგარიშო პერიოდში ღონისძიებაზე ხარჯი გაწეულია 18,6 ათასი ლარი;

პროგრამის მხარდაჭერის ხარჯიდან სასაჩუქრედ შეძენილია აჭარული საცეკვაო კოსტიუმების თემატიკაზე შექმნილი ხელნაკეთი სუვენირები თანხით 4,7 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 95,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 54,2 %

**პროგრამის - კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია** მოიცავს სამ ქვეპროგრამას, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებული ორ ქვეპროგრამაზე.

**ქვეპროგრამის - ხელოვნებისა და კულტურის საქმიანობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 658,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 653,5 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საქართველოს და საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობის ფარგლებში კონკურსის წესით და არასაკონკურსოდ სულ დაფინანსდა 17 პროექტი.

საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენის, რეგიონის ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით საზღვარგარეთ დაგეგმილი ოფიციალური ტურების ფარგლებში ორგანიზება გაეწია 9 კულტურულ ღონისძიებას, კერძოდ, ვილნიუსში, პაფოსში, ვროცლავში, თელავივში, მინსკში, ვარშავაში, ასტანაში, კლაიპედასა და კრაკოვში;

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა 3 პროექტი: დანიელი მუსიკოსების ტრენინგი; ბალეტის სადამო ქუთაისსა და ახალციხეში; მუსიკის საერთაშორისო საზაფხულო აკადემია;

დაფინანსდა ფესტივალები და სახელოვნებო პროექტები: საერთაშორისო ფესტივალი - „ოქროს დელფინი“, „ოჯახში დამზადებული ღვინის ფესტივალი“, ფესტივალი - „აღდგომიდან ამაღლებამდე“, „ელექტრონული მუსიკის ფესტივალი“, „თეატრ ქორეას სპექტაკლის ჩვენება აჭარის რეგიონში“, პლენერი - „მეგობრობის პალიტრა; Street Art ფესტივალი, პრინტ ფესტივალი „Life n Stile“, ფოტო ფესტივალი „ოდესა//ბათუმი ფოტო დღეები“, ფოტო გამოფენა „ქალის თვალთ დანახული ჩვენ“, „პალიტრა“, შშმ ბავშვების ნამუშევრების გამოფენა „შეჩერებული წამი“, შშმ ბავშვთა დასის „ცისარტყელა“-ს გასტროლი სიღნაღში, კონცერტები ტურისტულ სეზონზე;

ამჟამად მიმდინარეობს და შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე განხორციელებულია გადარიცხვები პროექტებზე: „ელეონორა“, „სტრიტ არტ ჯი“.

სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა მხატვართა კავშირისა და თეატრალური საზოგადოების პროექტები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,2%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 68,2 %

**ქვეპროგრამის - კულტურული ცხოვრების ხელშეწყობა სოფლად** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 40,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 36,1 ათას ლარს. ქვეპროგრამის

ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა ხულოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლის ანიმაციის სტუდიისათვის თანხით 9,2 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებისა და სიღვიძის საგოგონოს კულტურის ცენტრების თანამშრომლობის პროექტის განხორციელებისათვის გაწეულია 4,7 ათასი ლარი;

სოფლად მცხოვრები ტრადიციული რეწვის ოსტატების პროდუქციის განვითარების პროექტი, რომლის ფარგლებში ანგარიშსწორება მიმდინარეობს შესრულებული სამუშაოების მიხედვით, საანგარიშო პერიოდში დაფინანსებამ შეადგინა 22,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,3%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 65,6 %

**პროგრამის - კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 42,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 36,4 ათას ლარს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დაფინანსდა 5 პროექტი: პოლონელი ექსპერტების ტრენინგი სამუზეუმო სფეროს წარმომადგენლებისთვის; ტრენინგები რეგიონში მოქმედ მუზეუმებში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-დანერგვის მიზნით; ტრენინგი თემაზე „მუზეუმის მართვის თანამედროვე ტენდენციები“; ვორკშოფი სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ განათების სპეციალისტებისთვის; ვორკშოფი ევროკავშირის პროგრამის „კრეატიული ევროპა“ საკითხებზე;

განხორციელდა ღონისძიება „ევროპის კულტურის პარლამენტის გასვლითი სხდომის ორგანიზება ბათუმში“ (რომლის ფარგლებშიც ანაზღაურებულია ბეჭდვის ხარჯი);

პროგრამის მხარდაჭერის ხარჯის ფარგლებში დამზადებულია ბრენდირებული მასალა.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 85,6 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 17,8 %

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო“ 2016 წელს ახორციელებს პროგრამას „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია“, რომელიც მოიცავს ორ ქვეპროგრამას: „კულტურული მემკვიდრეობის მართვას“, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და „კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება“.

ქვეპროგრამის - კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 968,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 927,9 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ჩატარებულია საინფორმაციო-მარკეტინგული ღონისძიებები თანხით 39,8 ათასი ლარი, შესყიდულია არქეოლოგიური ექსპედიციებისთვის 70,7 ათასი ლარის ინვენტარი, დაფინანსებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე გზამკვლევების ბეჭდვის

მომსახურება 42,6 ათასი ლარი, განხორციელებულია აჭარაში არსებულ ძეგლებზე (გარდა ბათუმისა) ინვენტარიზაცია თანხით 99,0 ათასი ლარი.

დაფინანსებულია ხიხანის ციხის მესამე კოშკისა და სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები 90,1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კერძოდ, მახინჯაურში, ჯინჭარაძის ქუჩაზე მდებარე ავარიული ძეგლისა და ე.წ. „საბაევის“ ავარიული სახლის რეაბილიტაციაზე გაწეულია 313,6 ათასი ლარი.

განხორციელებულია პეტრას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 92,3 ათასი ლარის ოდენობით, გონიოს ციხის ინფრასტრუქტურული მოწყობაზე გაწეულია 158,6 ათასი ლარი, ბათუმის ისტორიული მუზეუმის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 21,2 ათასი ლარით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 33,6 %

სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს ხელშეწყობის მიზნით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ახორციელებს სამ პროგრამას, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის პროგრამებს.

პროგრამის - სპორტის ხელშეწყობის ფარგლებში ხორციელდება ოთხი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - სპორტული ღონისძიებები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 951,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 928,1 ათას ლარს. აქედან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან 2016 წლის 19 აპრილის #117 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 2016 წლის მაისში, ქ. ბათუმში „მსოფლიო თასი კარატეში“ ორგანიზების ხარჯების ნაწილობრივ დაფარვის მიზნით 11,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამით დაფინანსდა აჭარის ჩემპიონატების, პირველობებისა და სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირში აჭარის გუნდებისა და სპორტსმენების მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში კალენდარული გეგმის თანახმად ჩატარდა აჭარაში მოქმედი ფედერაციების 377 ღონისძიება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,6 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 74,2 %

ქვეპროგრამის - აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 290,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 288,6 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

აჭარაში მოქმედი სპორტული ფედერაციის 257 სპორტსმენსა და მწვრთნელს სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებსა თუ პირველობებში მიღწეული წარმატებებისათვის

ქვეპროგრამის ფარგლებში გადაეცა ერთჯერადი ფულადი ჯილდო.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,5 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 78,0 %

**ქვეპროგრამის - სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 494,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 441,9 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა 33 სასწავლო-საწვრთნო შეკრება წყალბურთში, ხელბურთში, ფეხბურთში, ინდორ ჰოკეიში, ფრენბურთში, კალათბურთში, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობასა და რაგბში. სპორტსმენები ღონისძიებების პროცესში უზრუნველყოფილი იყვნენ ტრანსპორტით, სასტუმროთი და კვებით. ჩასატარებელი ღონისძიებების ზედამხედველობისა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარების მიზნით თითოეული სახეობების მიხედვით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი იქნა 9 კოორდინატორი. მწვრთნელებისა და კოორდინატორებისათვის გათვალისწინებული იქნა ყოველთვიური ანაზღაურება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 89,4 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 70,5 %

**ქვეპროგრამის - მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენტთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 101,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 96,6 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2016 წლის ცხრა თვის განმავლობაში ყოველთვიური 187,50 ლარიანი დახმარება გაეწია 50 ბენეფიციარს (83,4 ათასი ლარი), იუბილეებისა და სხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით მატერიალური მხარდაჭერა გაეწია 19 ბენეფიციარს - სულ თანხით 10,2 ათასი ლარი. 3 სპორტის წარმომადგენლის გარდაცვალების გამო გაწეულია ხარჯი 3,0 ათასი ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,4 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 71,9 %

**პროგრამის - ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 244,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 189,3 ათას ლარს. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წლის განმავლობაში 11 ღონისძიების ორგანიზება.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. ფორუმი რეგიონის განვითარება და ახალგაზრდობის როლი - ღონისძიების ორგანიზებაზე გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერი, ხელშეკრულება გაფორმებული იქნა შპს „მარკა“-სთან 15,0 ათას ლარზე. ღონისძიებაში მონაწილეობდა აჭარის უმაღლესი სასწავლებლების 50 სტუდენტი, რომელთაც ჩაუტარდათ ტრენინგ-სემინარები და გადაეცათ სერთიფიკატები. გაწეულია ხარჯი 15,0 ათასი ლარი, ხოლო ტენდერის ეკომონია შეადგენს 7,0 ათას ლარს.

2. ინტელექტუალური თამაშების ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსდა აჭარის სასკოლო ჩემპიონატის ხუთი ეტაპი, სადაც მონაწილეობას ღებულობდა მუნიციპალიტეტებისა და ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების 300-მდე მოსწავლე, გაწეული იქნა ხარჯი 22,7 ათასი ლარი.
3. „მხიარული რეგიონი“ - ღონისძიების ორგანიზებისათვის აჭარის ა.რ მხიარულთა და საზრიანთა კლუბების ფედერაციასთან გაფორმდა ხელშეკრულება 16,5 ათას ლარზე, რომელიც გახარჯულია სრულად. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ერთი მოსამზადებელი ეტაპი და ერთი ფინალური თამაში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 80-მა ახალგაზრდამ და 650-ზე მეტმა დამსწრემ.
4. ღონისძიებიდან „უცხოეთში სხვადასხვა ტრენინგ სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილე სტუდენტების ხელშეწყობა“ 15 სტუდენტს დაუფინანსდა საზღვარგარეთ ტრენინგ სემინარებზე მგზავრობის ხარჯი თანხით 12,2 ათასი ლარი.
5. „მან-სან-კანის“ შავი ზღვის ლიგის ღონისძიების ორგანიზებისათვის აჭარის ა.რ მხიარულთა და საზრიანთა კლუბების ფედერაციასთან გაფორმდა ხელშეკრულება 27,0 ათას ლარზე, რომელიც გახარჯულია სრულად. ღონისძიება განხორციელდა 5 ეტაპად, მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა ქალაქების სტუდენტ ახალგაზრდების 15-მდე გუნდმა, ღონისძიებას დაესწრო 4 500-ზე მეტი მაყურებელი.
6. ღონისძიების „ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკის“ ორგანიზებისათვის 36,5 ათასი ლარის ოდენობით დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ იქნა ელექტრონული ტენდერი, რომლის დამთავრების შემდეგაც გაფორმდება ხელშეკრულება გამარჯვებულ ორგანიზაციასთან. ღონისძიებაში ჩართული იყო აჭარაში არსებული უმაღლესი სასწავლებლების 50 სტუდენტი, რომლთაც სხვადასხვა თემატიკაზე ჩაუტარდათ ტრენინგ-სემინარები, აღნიშნულ ღონისძიებაზე ხარჯი გაწეული იქნა 27,1 ათასი ლარი. დარჩენილი 9,4 ათასი ლარი წარმოადგენს ეკონომიას;
7. ახალგაზრდობის კლუბების მხარდაჭერა:
  - ა). ლიტერატურული კლუბის ღონისძიებების ორგანიზებაზე გაფორმებული იქნა ხელშეკრულება ა(ა)იპ „კავკასიონ“-თან 15,3 ათას ლარზე. საანგარიშო პერიოდში მოეწყო ექსკურსიები, აუდიენციები და სემინარები ლიტერატურის შესახებ აჭარის მუნიციპალიტეტებში. გაწეული იქნა ხარჯი 5,7 ათასი ლარის ოდენობით. დარჩენილი რესურსის 12,3 ათასი ლარიდან 9,5 ათასი ლარის ათვისება მოხდება საანგარიშო წლის ბოლომდე, ხოლო 2,7 ათასი ლარი შეადგენს ტენდერის ეკონომიას;
  - ბ). გამომგონებელთა კლუბის ღონისძიებების ორგანიზებაზე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან გაფორმებული იქნა ხელშეკრულება 6,8 ათას ლარზე. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრების გამოფენა კონკურსი და მოეწყო გასვლითი გამოფენის ორგანიზება ქედის მუნიციპალიტეტში, 50 მონაწილე კონკურსანტზე გაცემული იქნა საჩუქრები (წიგნები), გაწეული იქნა ხარჯი 2,9 ათასი ლარის ოდენობით. დარჩენილი რესურსის 3,9 ათასი ლარის ათვისება მოხდება საანგარიშო წლის ბოლომდე.

გ). შშმ პირთა ჩართულობის კლუბის ღონისძიებების ორგანიზებაზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულ ორგანიზაციასთან ააიპ ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის გაფორმებული იქნა ხელშეკრულება 6,8 ათას ლარზე. ორგანიზაციის მიერ ჩატარებული იქნა შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, გაწეული იქნა ხარჯი 1,4 ათასი ლარი.

დ). ხელოვანთა კლუბის ღონისძიებების ორგანიზებაზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულ ორგანიზაციასთან შპს „არტ არეა“-სთან გაფორმებული იქნა ხელშეკრულება 9,5 ათას ლარზე. წინამოსამზადებელი სამუშაოებისთვის გაწეული იქნა ხარჯი 0,4 ათასი ლარი. ხოლო 9,1 ათასი ლარის ათვისება მოხდება საანგარიშო წლის ბოლომდე;

ე). სადისკუსიო კლუბის ღონისძიებების ორგანიზებაზე დეპარტამენტის მიერ სამჯერ იქნა გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი, რომელიც არ შედგა. შესაბამისად 8,0 ათასი ლარი დარჩა ათვისებელი.

8. ქალაქური თამაშები „City game“-ის ორგანიზებაზე გაიმარჯვა შპს „მარკა“-მ და გაფორმებული იქნა ხელშეკრულება 11,5 ათას ლარზე, რომელიც გახარჯულია სრულად. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა სპორტული, შემეცნებითი და ინტელექტუალური აქტივობები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 500-ზე მეტმა სტუდენტ-ახალგაზრდამ. გაწეულ იქნა ხარჯი 11,5 ათასი ლარი.

9. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ „სტუდენტური დღეების“ ორგანიზებისათვის გამარჯვებულ ორგანიზაციასთან შპს „Smart Solution Group“-თან გაფორმებული იქნა ხელშეკრულება 20,9 ათას ლარზე, რომელიც დაფინანსებულია სრულად. სტუდენტური დღეების ღონისძიებაში ჩართული იყო 500-ზე მეტი მონაწილე, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შემდეგ აქტივობებში: ფეხბურთი, ფრენბურთი, ქუჩის კალათბურთი, ბილიარდი, დარტსი, ბოულინგი, ორიგინალური ნომერი, მუსიკალური ნომერი, მის სტუნდები, მან-სან-კანი. ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ღონისძიების ორგანიზების თანხა შემცირდა 12,0 ათასი ლარით, რომელიც წარმოადგენს ტენდერის ეკონომიას.

10. ლიდერთა სკოლის ორგანიზებაზე დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერით გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია შპს „ევროპის აკადემიური ცენტრი გაცვლითი პროგრამები“. ღონისძიების ორგანიზებაზე გაფორმებული იქნა ხელშეკრულება 26,0 ათას ლარზე, რომელიც სრულად იქნა ათვისებული. ღონისძიებაში ჩართული იყო აჭარაში არსებული უმაღლესი სასწავლებლის და საჯარო სკოლის 50 სტუდენტ-ახალგაზრდა, რომელთაც ჩაუტარდათ ტრენინგ-სემინარები სხვადასხვა თემატიკაზე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 77,6 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 51,2 %

ა(ა)იპ 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი ახორციელებს ერთ პროგრამას - 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს ორ ქვეპროგრამას: ა(ა)იპ 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მართვისა და 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მზადების ხელშეწყობა.

2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მზადების ხელშეწყობის ქვეპროგრამის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 437,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 435,0 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:



საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის ფარგლებში ფიდესთან გაფორმებული კონტრაქტით გათვალისწინებული საწევროს გადასახადი თანხით 373,6 ათასი ლარი;

ბაქოში 42-ე საჭადრაკო ოლიმპიადის პრეზენტაციასზე გაწეულია 61,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,4 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 99,4%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2016 წელს ახორციელებს რვა პროგრამას: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვის, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების, პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის, მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიის ერთჯერადი მატერიალური დახმარების, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით, მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის და ეკომოგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამებს.

პროგრამა - სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება მოიცავს ექვს ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 975,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 961,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 1 721 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 1 298, ხოლო 423 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,7 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 74,0 %

ქვეპროგრამის - გულის ქირურგია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 242,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 241,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 473 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 344, ხოლო 129 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 65,3 %

ქვეპროგრამის - სახსრების ენდოპროთეზირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 239,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 235,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 75 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 60, ხოლო 15 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,6 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 78,5 %

**ქვეპროგრამის - ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა**  
საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 472,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 433,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 1 735 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 1 353, ხოლო 382 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 91,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 72,2 %

**ქვეპროგრამის - ონკოლოგიურ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება**  
საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 565,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 563,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 864 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 711. ხოლო 153 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 65,9 %

**ქვეპროგრამის - ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება**  
საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 93,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 83,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 261 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 217. ხოლო 44 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 89,7 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 42,8 %

**პროგრამა - პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა**  
მოიცავს სამ ქვეპროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია ორ ქვეპროგრამაზე.

**ქვეპროგრამის - სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება**  
საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 587,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 569,5 ათას ლარს.

თემის სამედიცინო პუნქტის 228 სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული სამედიცინო დახმარების (ვიზიტების) რაოდენობამ, როგორც სამედიცინო პუნქტში ასევე ბინაზე, შეადგინა 191 003. ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე 510,6 ათასი ლარი. თემის სამედიცინო პუნქტებს გადაეცათ 58,9 ათასი ლარის ღირებულების მედიკამენტები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 72,7 %

**ქვეპროგრამის - სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 202,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 199,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ექიმებთან ხელშეკრულებების გაფორმება ხორციელდება მუნიციპალიტეტებიდან წარმოდგენილი სიების მიხედვით, 2016 წლის სამი კვარტლის მდგომარეობით ხელშეკრულება გაფორმებულია 107 ექიმთან.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 73,7 %

**პროგრამა - სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია** მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას.

**ქვეპროგრამის - ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 484,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 458,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 2 316 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 1 966. ხოლო 350 ბენეფიციარი აგრძელებს რეაბილიტაციას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,7 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 84,3 %

**ქვეპროგრამის - სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 76,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 75,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 457 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 426. 31 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 63,1 %

**ქვეპროგრამის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 17,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 7,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 32 ვაუჩერი, დღეისათვის ანაზღაურებულია 16. 16 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 42,4 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 36,0 %

**ქვეპროგრამის - ბავშვთა ადრეული განვითარება** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 129,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 125,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 879 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 868. ხოლო 11 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,5 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 72,3 %

**პროგრამა - მოსახლების გარკვეული სოციალური კატეგორიის ერთჯერადი მატერიალური დახმარება** მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას.

**ქვეპროგრამის - 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარება** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 42,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 40,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში 40 ხანდაზმულს, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 100 წელი, ერთჯერადი დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 1,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,2 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 88,9 %

**ქვეპროგრამის - ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 120,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 119,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 60 ახალშობილი ტყუპის ოჯახს, 119 ახალშობილ ტყუპებისათვის.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,2%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 79,3 %

**ქვეპროგრამის - 2008 წლის რუსული აგრესიისა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულთა ოჯახების დახმარება** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 79,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 79,0 ათას ლარს.

ომში დაღუპული მეომრის 22 დედესა და მეუღლეს ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 1,0 ათასი ლარი. ომში დაღუპული 19 მეომრის ოჯახს გაეწია სოციალური დახმარება, თითოეულს 3,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 100,0 %

**ქვეპროგრამის - ერთჯერადი სოციალური დახმარება** საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 384,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 379,2 ათას ლარს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან 86 პაციენტის მკურნალობისათვის გამოყოფილი 307,9 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 302,4 ათასი ლარი, ასევე გამოყოფილია 2 პაციენტის მედიკამენტისა და 1 პაციენტისათვის ინჰლანტანტის

შესაძენად 12,4 ათასი ლარი, 10 ოჯახზე ერთჯერადი მატერიალური დახმარებისათვის 58,7 ათასი ლარი, 1 მოქალაქის გადმოსვენებისათვის 5,7 ათასი ლარი. სხვაობა 5,5 ათასი ლარი გამწვეულია პაციენტების მიერ მკურნალობის ანგარიშის საანგარიშო პერიოდში წარმოუდგენლობის გამო, მათი დაფინანსება განხორციელდება მომდევნო პერიოდში.

**პროგრამა - შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით** მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

**ქვეპროგრამის - სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 120,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 108,0 ათას ლარს.

საანგარიშგებო პერიოდში გაცემულია 495 ვაუჩერი, დაფინანსებულია სმენადაქვეითებულ პირებზე 427 ვაუჩერი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 90,0 %

**ქვეპროგრამის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებების უზრუნველყოფა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 48,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 48,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 204 ვაუჩერი, დღეისათვის დაფინანსებულია 160 ვაუჩერი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 80,0 %

**პროგრამის - მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 91,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 89,1 ათას ლარს.

ა(ა)იპ „თანა“-სთან გაფორმდა ხელშეკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში ბენეფიციართა მომართვიდან გამომდინარე პროგრამაში ჩართულია 20 ბენეფიციარი. 89,1 ათასი ლარით დაფინანსდა მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,8%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 73,0 %

**პროგრამის - ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 350,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 343,6 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში შეძენილია 13 უძრავი ქონება, რისთვისაც **სამინისტროს** მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, გამყიდველის ანგარიშზე გადაირიცხა 325,0 ათასი ლარი, ხოლო უძრავი ქონების ტექნიკური მდგომარეობისა და საბაზრო ხელშეკრულების დადგენის მიზნით გადახდილი იქნა 18,6 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,2%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 13,2 %

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მხვრივ სსიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ ახორციელებს ორ ქვეპროგრამას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებსა და დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკის ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის -დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 405,2 ათას ლარს, საკასო შესრულება 333,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ა) ეპიდზედამხედველობის განხორციელება, ეპიდსიტუაციის მართვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა.

1. აჭარის ტერიტორიაზე განხორციელდა ეპიდკვლევას დაქვემდებარებულ დაავადებათა 528 კერის კვლევა შესაბამისი 661 ვიზიტით, მ.შ.ბათუმი – 312 კერა, 391 ვიზიტი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 104 კერა, 110 ვიზიტი, ხელვაჩაური – 80 კერა, 128 ვიზიტი, ქედა – 16 კერა, 16 ვიზიტი, შუახევი – 7 კერა, 7 ვიზიტი, ხულო – 9 კერა, 9 ვიზიტი.
2. ცოფზე საექვო კერაში განხორციელდა 145 ვიზიტი; ხოლო ვეტსამსახურში 312 საკომუნიკაციო ვიზიტი, სულ 457, მ.შ. ბათუმი – 113 ვიზიტი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 199, ხელვაჩაური – 9, ქედა – 70, შუახევი – 38, ხულო – 28 ვიზიტი.
3. რეგიონის მალარიოგენული ტერიტორიის პასპორტიზაციის შედეგად აღირიცხა 733,53ა , მ.შ. ანოფელოგენური 584,8 ჰა. საანგარიშო პერიოდში ბათუმში, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში გამოკვლეულ იქნა: ფიზიკური ფართობი – 1 844,7 ჰა, მ.შ.ანოფელოგენური 1 507,9 ჰა. ტრანსმისიულ დაავადებათა პრევენციის მიზნით განხორციელდა 1 582 000 კვ.მ. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის ინსექტიციდით დამუშავება.
4. სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტისა და სკოლის უფროსკლასელთა მონაწილეობით ჩატარდა შიდად და დედასთან მსოფლიო დღისა და ნარკომანიასთან ბრძოლის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი შეხვედრები. 28 ივლისს აღინიშნა C ჰეპატიტთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, ორკვირეულის ფარგლებში, ა/ო „იმედ“-თან, NCDC აჭარის სამმართველოსთან ერთად განხორციელდა ზოგადი პოპულაციის სკრინინგი.
5. მოსწავლეთა ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით რეგიონის სკოლებში განხორციელდა 102 ვიზიტი, 167 შეხვედრა, დაესწრო 5 455 მსმენელი.
6. მომზადდა 4 ვიდეორგოლი - „ტუბერკულოზი განკურნებადია“, „რჩევები უვნებელი სურსათისთვის“, „მზის დაკვრა“, „ფიზიკური აქტივობა“.
7. გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის საკითხებზე ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია, მონაწილეებს გადაეცათ სუვენირები: კეპები, მაისურები, ფლემ-მეხსიერების ბარათები.

ბ) მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რეგიონის საჯარო და კერძო სკოლებში და საბავშვო ბაღებში 262 ვიზიტი, მ.შ. ბათუმში –144 ვიზიტი, 13 171 ბენეფიციარი, ხელვაჩაურში - 29 ვიზიტი, 2 788 ბენეფიციარი, ქობულეთში - 56 ვიზიტი, 5 045 ბენეფიციარი, ქედა - 13 ვიზიტი, 1 209 ბენეფიციარი, ხულო - 20 ვიზიტი, 1 933 ბენეფიციარი. სკრინინგი გაიარა სულ 24 146 ბენეფიციარმა, მ.შ. 7 796-მა ბადის აღსაზრდელმა. ჩატარდა სულ კონსულტაცია - 96 584.

გ) C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა

ღონისძიების ფარგლებში მომსახურება გაეწია სულ 854 ბენეფიციარს, მ.შ. 600 ბენეფიციარს ჩაუტარდა მკურნალობაში ჩართვამდე საჭირო 1 446 გამოკვლევა. მკურნალობის პროცესის მონიტორინგის მიზნით 409 ბენეფიციარს ჩაუტარდა 1 469 გამოკვლევა.

დ) ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში

საანგარიშო პერიოდში გამოკვლეულ იქნა 0–200000 სარეიტინგო ქულის მქონე 396 ორსული, მათ შორის ბათუმში - 389, ხულოში - 7.

ე) კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში

საანგარიშო პერიოდში აჭარის მაღალმთიანეთში განხორციელდა 27 ვიზიტი, მათ შორის ქედაში - 12, შუახევში - 10, ხულოში - 5. ღონისძიებით ისარგებლა 1 115-მა ბენეფიციარმა.

ვ) სმენის სკრინინგი ახალშობილებში

საანგარიშო პერიოდში სმენის პირველადი სკრინინგი ჩაუტარდა - 450 ახალშობილს. მათ შორის: ქობულეთი - 320, ქედა - 16, შუახევი - 4, ხულო - 110. განხორციელდა მეორადი სკრინინგი - 24.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 82,4 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 54,5 %

**დასაქმების ხელშეწყობის მხვრივ სსიპ „დასაქმების სააგენტო“ ახორციელებს სამ ქვეპროგრამას: დასაქმების ხელშეწყობის მართვის ქვეპროგრამას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, პროფესიული გადამზადების და სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციის ქვეპროგრამებს.**

**ქვეპროგრამის - პროფესიული გადამზადება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 182,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 155,8 ათას ლარს.**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

კონკურსის შედეგად შეირჩა 120 ბენეფიციარი. სატრენინგო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, რომლის გამარჯვებულმა ა(ა)იპ განვითარების აკადემიამ განახორციელა ქვეპროგრამის მოსარგებლე ბენეფიციარების გადამზადება როგორც პროფესიულ უნარებში, ასევე ორ უცხო ენაში - რუსულსა და ინგლისურში. პროფესიულ უნარებში სწავლება მიმდინარეობდა „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ ახალ ტალღაში“ შემდეგ პროფესიებში:

სასტუმროს საქმის მწარმოებელი, მზარეული, კონდიტერი, სტილისტი, მძიმე ტექნიკის ოპერატორი, შემდუღებელი აირზე, ელექტრო შემდუღებელი და „სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ბლექსში“ ბართენდერისა და სარესტორნო საქმის მწარმოებლის პროფესიებში. ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნა ბენეფიციართა საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება. სწავლების სრული კურსი გაიარა და სერტიფიკატი აიღო 86 ბენეფიციარმა, მათგან 41 ბენეფიციარი დასაქმდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 85,6 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 85,6 %

**ქვეპროგრამის - სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაცია** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 49,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 34,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: სარეკლამო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად დამზადდა ბრენდირებული სარეკლამო მასალები: ბრენდირებული მაისური, ბრენდირებული კეპი, ბრენდირებული კალამი, ბრენდირებული ორგანიზერი, ბრენდირებული ჩანთა, ბრენდირებული კონვერტები, ბრენდირებული საქაღალდე, სარეკლამო ტრიპლეტი, საინფორმაციო ფურცლები, ბანერი, სავიზიტო ბარათები.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი ინტელექტი, რომელმაც განახორციელა დასაქმების აგენტების შერჩევა კონკურსის წესით. შერჩეულმა აგენტებმა გაიარეს არაფორმალური განათლების კურსი გაყიდვების მენეჯმენტის (გაყიდვების ტექნიკა და მოლაპარაკების ხელოვნება), პრეზენტაციის მომზადებისა და კომუნიკაციის უნარების განვითარების საკითხებში.

დასაქმების აგენტების მიერ განხორციელდა სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის მართვის ელექტრონულ სისტემაში 960 სამუშაო მაძიებლისა და 192 ორგანიზაციის რეგისტრირება. ასევე დასაქმების აგენტების მიერ მოძიებულ ვაკანსიებზე დასაქმდა სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული 46 ბენეფიციარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 69,2 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 48,7 %

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2016 წელს ახორციელებს ოთხ პროგრამას: აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვის, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის, მემცენარეობის დარგის განვითარების ხელშეწყობისა და მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებს.**

**პროგრამა - სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა** მოიცავს სამ ქვეპროგრამას.



ქვეპროგრამის - სოფლის მეურნეობის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 120,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 078,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აგროინვესტსერვისთან“ (ელექტრონული ტენდერი (SPA-150035341) მცირე მექანიზაციის 292 ტექნიკური საშუალებების შეძენაზე (160 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 5.2 კვტ (7 ცხმ), ძალამრთმევი ლილვით) დაკომპლექტებული ნიადაგდამამუშავებელი აგრეგატებით: ფრეზი-კულტივატორი, ნიადაგის შემომყრელი (კვალგამყვანი), კარტოფილის ამომთხრელი; 37 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 5.2 კვტ (7ცხმ), ძალამრთმევი ლილვით) დაკომპლექტებული ნიადაგდამამუშავებელი აგრეგატებით: ფრეზი-კულტივატორი, ნიადაგის შემომყრელი (კვალგამყვანი), კარტოფილის ამომთხრელი და სეგმენტურთათებიანი სათიბელა; 45 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 5.2 კვტ (7ცხმ), ძალამრთმევი ლილვით) დაკომპლექტებული ნიადაგდამამუშავებელი აგრეგატებით: ფრეზი-კულტივატორი, ნიადაგის შემომყრელი (კვალგამყვანი), კარტოფილის ამომთხრელი და კარტოფილის სარგავი (სასუქის შემტანი); 5 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 5.2 კვტ (7 ცხმ), ძალამრთმევი ლილვით) დაკომპლექტებული ნიადაგდამამუშავებელი აგრეგატებით: ფრეზი-კულტივატორი, ნიადაგის შემომყრელი (კვალგამყვანი), კარტოფილის ამომთხრელი და ნიორის სათესი და 45 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 5.2 კვტ (7 ცხმ), ძალამრთმევი ლილვით) დაკომპლექტებული ნიადაგდამამუშავებელი აგრეგატებით: ფრეზი-კულტივატორი, ნიადაგის შემომყრელი (კვალგამყვანი), კარტოფილის ამომთხრელი და ნიადაგის დისკური შემომყრელი) სახელშეკრულებო ღირებულებით - 1 035,0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში მოწოდებულია 292 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი, რომლებიც გადაცემულია ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე. მომწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 1 035,0 ათასი ლარის ოდენობით.

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აგროინვესტსერვისთან“ (ელექტრონული ტენდერი (SPA-160004351) 79 ერთეული მოტობლოკის მისაბმელი ურიკების მოწოდებაზე (ტვირთამწეობა არანაკლებ -0,5 ტ) სახელშეკრულებო ღირებულებით - 43,4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში მოწოდებულია და ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გაცემულია 79 ერთეული მოტობლოკზე მისაბმელი ურიკა. მომწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 43,4 ათასი ლარის ოდენობით.

სხვაობა 41,6 ათასი ლარი შესყიდვების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიაა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 96,3 %

ქვეპროგრამის - ბაღის მობილური შემასხურებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს

148,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 122,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ალიგატორი 1“ (ელექტრონული ტენდერი (SPA-160000560) 100 ერთეული მობილური შემასხურებელი აპარატების მოწოდებაზე სახელშეკრულებო ღირებულებით - 122,0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში მოწოდებულია და ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გაცემულია 100 ერთეული მობილური შემასხურებელი აპარატები. მომწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 122,0 ათასი ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების შედეგად ტენდერის ეკონომიამ შეადგინა 26,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 82,4 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 82,4 %

**ქვეპროგრამის - თხილის შესაგროვებელი აპარატებითა და გამრჩევი დანადგარებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 95,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 94,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „მატისოს“-თან (ელექტრონული ტენდერი (SPA-160011063) 22 ერთეული თხილის შესაგროვებელი აპარატის მოწოდებაზე სახელშეკრულებო ღირებულებით - 60,0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში მოწოდებულია და გადაცემულია ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე 22 ერთეული თხილის შესაგროვებელი აპარატი. მომწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 60,0 ათასი ლარის ოდენობით.

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ოზურგეთის მძიმე დანადგარებ“-თან (ელექტრონული ტენდერი (SPA-160009425) 10 ერთეული თხილის გამრჩევი დანადგარის მოწოდებაზე სახელშეკრულებო ღირებულებით - 34,0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში მოწოდებულია და გადაცემულია ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე 10 ერთეული თხილის გამრჩევი დანადგარი. მომწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 34,0 ათასი ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 98,9 %

**პროგრამა - მემცენარეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა** მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

**ქვეპროგრამის - სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 300,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 235,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „კა-88“-თან (ელექტრონული ტენდერი (SPA-160007739) 15 ერთეული 104 კვ.მ-იანი და 84 ერთეული 50 კვ.მ-იანი ფართობის სასათბურე კონსტრუქციის (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის

ფირი) მოწოდებაზე სახელშეკრულებო ღირებულებით - 235,0 ათასი ლარი. მოწოდებულია 15 ერთეული 104 კვ.მ -იანი და 84 ერთეული 50 კვ.მ -იანი ფართობის სასათბურე კონსტრუქციის (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი), საანგარიშო პერიოდში ფერმერებისა და აგრომეწარმეებზე გადაცემულია 12 ერთეული 104 კვ.მ -იანი სასათბურე კონსტრუქცია და 63 ერთეული 50 კვ.მ -იანი ფართობის სასათბურე კონსტრუქცია. მომწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 235,0 ათასი ლარის ოდენობით.

შესყიდვების შედეგად ეკონომიამ შეადგინა 65,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 78,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 78,3 %

**ქვეპროგრამის - მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა ფერმერულ მეურნეობებში საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 751,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 681,5 ათას ლარს.**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA- 150034743) გამარჯვებულთან 2016 წლის 3 თებერვალს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ი/მ კორნელი მებუკიასთან ღირებულებით 38,5 ათასი ლარი, რომლის თანახმად მოწოდებულია 41 000 ცალი თხილის (ჯიში - ბერძნულა) ნერგი და შესაბამისად გადაცემულია ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ნერგები. ვინაიდან თხილის ნერგის მომწოდებელი არ იყო დღეს-ს გადამხდელი, ხელშეკრულების შესაბამისად ანგარიშსწორების თანხა შემცირდა 5,9 ათასი ლარით და მომწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 32,6 ათასი ლარის ოდენობით.

გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA-150035147) გამარჯვებულთან 2016 წლის 28 იანვარს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შპს „მწვანე ოსტატთან“ ღირებულებით 158,4 ათასი ლარი, რომლის თანახმად მოწოდებულია 19 800 ცალი ამერიკული ლურჯი მოცვი და გადაცემულია ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე. განხორციელდა ანგარიშსწორება მომწოდებელთან 158,4 ათასი ლარით.

გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA – SPA160023243) შედეგად გამარჯვებულთან 2016 წლის 19 აგვისტოს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება კომპანია შპს „ისტ-ვესტ ტრაიდინგი“ ღირებულებით 317,8 ათასი ლარი 25 344 ცალი კაკლის ნერგის მოწოდებაზე. მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები.

გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA-160011500) გამარჯვებულთან 2016 წლის 23 მაისს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შპს „გიორგის“-თან ღირებულებით 96,3 ათასი ლარი, რომლის თანახმად მოწოდებულია 35 060 კგ კომბინირებული სასუქი NPK, 43 793 კგ აზოტოვანი სასუქი N და 3 600 კგ ფოსფოროვანი სასუქი P და შესაბამისად გადაცემულია ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე. მომწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 96,3 ათასი ლარის ოდენობით.

გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA-160002694) გამარჯვებულთან 2016 წლის 4 აპრილს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შპს „ბიოსერვის“-თან ღირებულებით 314,5 ათასი ლარი, რომლის თანახმად მოწოდებულია 462,5 ტონა ორგანული სასუქი (ბიოსასუქი) და შესაბამისად გადაცემულია ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე. მომწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 314,5 ათასი ლარის ოდენობით.

გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA-160008072) გამარჯვებულთან 2016 წლის 23 მარტს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შპს „სოლარი +“-თან ღირებულებით 29,7 ათასი ლარი, რომლის თანახმად მოწოდებულია 19 800 მეტრი მულჩფირი და შესაბამისად გადაცემულია ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე. მომწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 29,7 ათასი ლარის ოდენობით.

გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA-160006492) გამარჯვებულთან 2016 წლის 18 მარტს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შპს „წყლისა და გაზის ტექნოლოგიები“-თან ღირებულებით 50,0 ათასი ლარი, რომლის თანახმად მოწოდებულია 158 040 მეტრი სარწყავი მილი და 70 500 ცალი საწვეთურები სარწყავი მილებისათვის და შესაბამისად გადაცემულია ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე. მომწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 50,0 ათასი ლარის ოდენობით.

შესყიდვის ეკონომია დაზუსტებულ გეგმასა და ხელშეკრულების თანხას შორის შეადგენს 64,4 ათას ლარს, ხოლო სულ ეკონომია 70,3 ათასი ლარია.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,6 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 60,2 %

**ქვეპროგრამის - წვეთოვანი სარწყავი სისტემებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 51,7 ათას ლარს, ხოლო დაფინანსება არ განხორციელებულა.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA-160022336) შედეგად შპს „სოლარი+“-თან ღირებულებით 49,3 ათასი ლარი 2016 წლის 31 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების (N02-02/93 31.06.2016წ) თანახმად მოწოდებული იქნება 201 კომპლექტი წვეთოვანი სარწყავი სისტემა და შესაბამისად განხორციელდება მომწოდებელთან საბოლოო ანგარიშსწორება. ტენდერის ეკონომიამ შეადგინა 2,4 ათასი ლარი.

**პროგრამა - მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა** მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

**ქვეპროგრამის - თავლის საწური აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 84,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 78,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ელ+“-თან (ელექტრონული ტენდერი (SPA-160006977) სახელშეკრულებო ღირებულებით - 78,8 ათასი ლარი, რომლის თანახმად მოწოდებულია 120 ცალი თავლის საწური აპარატი და

გადაცემულია ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე. მომწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 78,8 ათასი ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების შედეგად ტენდერის ეკონომიამ შეადგინა 5,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 93,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 93,8 %

**ქვეპროგრამის - რძის გადამამუშავებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა** საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 378,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 270,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ორიემ“-თან (ელექტრონული ტენდერი (SPA-160007143) სახელშეკრულებო ღირებულებით 270,0 ათასი ლარი, რომლის თანახმად მოწოდებულია და გადაცემულია ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე 1 175 ერთეული რძის მექანიკური სეპარატორი. მომწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 270,0 ათასი ლარის ოდენობით.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ცვლილება და სახელმწიფო შესყიდვის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის (108,4 ათასი ლარი) ფარგლებში დაიგეგმა დამატებით 470 ერთეული რძის მექანიკური სეპარატორის შესყიდვა. განხორციელებული ელექტრონული ტენდერის (SPA160023344) შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ორიემი“ და მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 71,4 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 71,4 %